

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**Ivane Javakhishvili Tbilisi
State University**

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Psychology and Educational Sciences

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა
აქტუალური პრობლემები – 2017
**Actual Problems of Psychology &
Educational Sciences 2017**

რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები
Proceedings of republic scientific conference

თბილისი 2017 Tbilisi

„ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები – 2017“ რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციაა, რომელსაც თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი *მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი – 2017-ის* ფარგლებში მართავს.

კონფერენცია ეძღვნება თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი საერთაშორისო ორენოვანი ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის – „თსუ ფსიქოლოგია“ – დაარსებას.

კონფერენციის მიზანია ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა სფეროში განხორციელებული კვლევების შედეგების თავმოყრა და გაზიარება, ქართველ მეცნიერებს შორის მჭიდრო სამეცნიერო კავშირების სტიმულირება და ინტერდისციპლინური კვლევების ნახალისება.

The goal of the conference is to bring together Georgian scientists to broaden communication, to discuss current issues of Psychology and Educational Sciences, to share knowledge and experience and to facilitate interdisciplinary research.

The conference is dedicated to the establishment of the scientific journal – TSU PSYCHOLOGY.

Conference Sections

Psychology

- Psychological Research and methodological problems
- Applied Psychological Research

Educational Sciences

- Contemporary Pedagogical theory
- Applied research in Educational Sciences

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2017

რედაქტორები:

ლალი სურმანიძე, პროფესორი

ზაქარია ქიტიაშვილი, ასოცირებული პროფესორი

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:

ლალი სურმანიძე პროფესორი, დეკანის მოადგილე, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დიმიტრი ჩუბინიძე სამეცნიერო სამსახურის უფროსი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარიამ მანუკავა დეკანის თანაშემწე, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარიამ კვარაცხელია რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Editors:

Lali Surmanidze, professor

Zakaria Kitiashvili, associate professor

Conference Organizing Committee:

Lali Surmanidze, Professor, Deputy dean, Faculty of Psychology and Educational Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University;

Dimitri Chubinidze, Head of the Scientific Research & Development Department, Faculty of Psychology and Educational Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University;

Mariam Mantskava, Deans Assistant, Faculty of Psychology and Educational Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University;

Mariam Kvaratskhelia, Head of the Department of Logistics, Faculty of Psychology and Educational Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

აბსტრაქტები | Abstracts

**ქართულენოვანი სკოლამდელი ასაკის
ბავშვების ექსპრესიული ენის დარღვევის
ფსიქოლინგვისტური ანალიზი**

ირინა დოლაძე

*დოქტორანტი, ფსიქოლოგიის დეპარტამენტი, ფსიქოლოგიისა და
განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
irinkadogadze@gmail.com*

თამარ გაგოშიძე

*პროფესორი, ფსიქოლოგიის დეპარტამენტი, ფსიქოლოგიისა და
განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
tamar.gagoshidze@tsu.ge*

შესავალი: სალაპარაკო ენის სპეციფიკურმა ნიშნებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ექსპრესიული ენის განვითარების დარღვევის პროფილზე. კერძოდ, ინგლისურენოვან ბავშვებს ხშირი მორფემული შეცდომები აქვთ, გერმანულენოვან ბავშვებს – სინტაქსური და რიცხვითი სახელის შეცდომები აღენიშნებათ, იტალიურენოვან ბავშვებს კი უფრო მეტი არტიკლის და პირის ნაცვალსახელის გამოყენების შეცდომები აქვთ (Gray 2004, McGregor 2002; Leonard, 2005; Bortolini, 1997). არ არის გამოკვლეული ექსპრესიული ენის განვითარების დარღვევის მქონე ქართულენოვანი ბავშვების ენის ფსიქოლინგვისტური მახასიათებლები.

მიზანი: 4-6 წლის ნორმალური ენ ობრივი განვითარებისა და ექსპრესიული ენის განვითარების დარღვევის მქონე ქართულენოვანი ბავშვების ენის ფსიქოლინგვისტური ანალიზი.

ცდის მონაწილეები და მეთოდები: კვლევაში მონაწილეობა მიიღო 4-6 წლის ასაკის 40-მა ბავშვმა, მათგან 20 ექსპრესიული ენის განვითარების დარღვევის (ეედ) მქონეა, 20 კი ენის ნორმალური

განვითარების (ნგ) მქონეა, რომლებიც შემთხვევითი შერჩევის პრინციპით იქნა ამორჩეული. კვლევის სტანდარტულ პროტოკოლში შედიოდა ადაპტაციის ფაზა, თავისუფალი და როლური თამაშის ფაზა, სურათის მიხედვით ამბის თხრობის ფაზა. დიქტოფონზე ინერებოდა და ანალიზდებოდა ბავშვის ვერბალური პროდუქცია. მონაცემები დამუშავდა სტატისტიკური პაკეტით SPSS-20. შედეგების ინტერპრეტაციისათვის გამოყენებულ იქნა ვ. ლეველტის სამეტყველო პროდუქციის მოდელი.

შედეგები: ორივე ჯგუფში მნიშვნელოვნად მეტი არსებითი სახელი იყო, ვიდრე ნაცვალსახელები, ზმნები და ზედსართავი სახელები. ნგ ჯგუფში, არტიკულაციურთან შედარებით, მნიშვნელოვნად მეტი სემანტიკური შეცდომა იყო, ხოლო ეედ ჯგუფში, სემანტიკურთან შედარებით, უფრო მეტი არტიკულაციური და სინტაქსური შეცდომა იყო. ნგ ჯგუფში გამონათქვამის საშუალო სიგრძე მნიშვნელოვნად აღემატებოდა ეედ ჯგუფისას. ეედ ჯგუფს აღენიშნებოდა მნიშვნელოვნად უფრო მეტი ფონოლოგიური, არტიკულაციური, სინტაქსური შეცდომა, ამასთან, ბევრად მეტი იყო საერთო შეცდომების რაოდენობა. მრავლობითი რეგრესიული ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ საერთო ვერბალური პროდუქცია და გამონათქვამის საშუალო სიგრძე ენობრივი შეცდომების კარგი პრედიქტორებია მხოლოდ ნგ ჯგუფში.

დასკვნა: ნგ და ეედ ჯგუფის ბავშვებს შორის არაა სანდო სხვაობა მეტყველების ნაწილების გამოყენებაში. ამავე დროს, მნიშვნელოვანი განსხვავებაა გამონათქვამის საშუალო სიგრძესა და სამეტყველო პროდუქციის შეცდომების რაოდენობაში – ეედ ჯგუფს ბევრად უფრო მცირე გამონათქვამის საშუალო სიგრძე და მნიშვნელოვნად მეტი შეცდომა აქვს. ვ. ლეველტის მოდელის მიხედვით, ეედ ჯგუფის ქართულენოვან ბავშვებს შესაძლოა ჰქონდეთ პრობლემები გრამატიკული და ფონოლოგიური კოდირების დონეზე, ასევე, არტიკულაციის დამატებითი ფონოლოგიური გეგმის დონეზე.

საკვანძო სიტყვები: ფსიქოლინგვისტური ანალიზი, ექსპრესიული ენის განვითარების დარღვევა, სამეტყველო პროდუქციის ლეველტის მოდელი, გამონათქვამის სიგრძე

Psycholinguistic Analysis of Expressive Language Disorder in the Georgian Speaking Preschool Children

Irina Doghadze

PhD Student, Department of Psychology, Faculty of psychology and Educational Sciences

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

irinkadogadze@gmail.com

Tamar Gagoshidze

Professor, Department of Psychology, Faculty of psychology and Educational Sciences

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

tamar.gagoshidze@tsu.ge

Introduction: Specific linguistic features of spoken language may influence the expressive language developmental disorder profile. Namely, English speaking children have frequent errors in using morphemes, whereas German speaking children had more syntax, verb conjugation errors and problems with numerical nouns, as for Italian speaking children frequent deficit in using articles and pronouns is prevailed (Gray 2004, McGregor 2002; Leonard, 2005; Bortolini, 1997). There is no evidence of psycholinguistic patterns, specific for Georgian Language in speech and language development disorder.

Goal: psycholinguistic analysis of normal and disordered expressive language among Georgian speaking children aged 4-6 year.

Participants and Method: 20 consecutively recruited children with expressive language disorder (ELD) and 20 randomly selected children with normal development (ND) aged 4-6 year were participated. Standardized Protocol consists of adaptation phase, free and role play phase, picture storytelling phase. Child verbal production was recorded and analyzed. Data analysis made by SPSS-20. W. Levelt model of speech production was used for interpretation of results.

Results: Number of nouns significantly greater compare to pronouns, verbs and adjectives in both groups. In ND group, semantic errors are much frequent compare to articulation errors, whereas ELD group have greater number of articulation errors compare to semantic errors and greater syntactic errors compare to semantic. ND group have significantly greater mean length of utterance compare to ELD group. ELD group had significantly much more errors in articulation, phonology, syntax, overall number of speech and language errors. Multiple regression analysis revealed that only in ND group strong predictors of speech and language errors are mean length of utterance and overall verbal production.

Conclusions: There is no difference in using of speech parts in ELD and ND groups, but prominent difference occurred in production errors and in mean length of utterance. Georgian speaking ELD group may have deficits on the stage of grammatical and phonological coding and on the stage supplementary phonetic plan of articulation by W. Levelt Model of speech production.

Keywords: *Psycholinguistic analysis, expressive language developmental disorder, Levelt model of speech production, length of utterance*

გულის თანდაყოლილი მანკით პაციენტების ფსიქოლოგიური მდგომარეობა პრეოპერაციულ პერიოდში

ტენგიზ ვერულავა

*პროფესორი, ჯანდაცვის პოლიტიკისა და დაზღვევის ინსტიტუტი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*

თბილისი, საქართველო

tengiz.verulava@tsu.ge

შესავალი: კარდიოქირურგიულ პაციენტებში ხშირად შეინიშნება დეპრესიული და შფოთვითი დარღვევები, რომლებიც უარყოფითად ზემოქმედებს დაავადების მიმდინარეობასა და შედეგებზე. ქირურგიულ ოპერაციას თან ახლავს განსაკუთრებული ემოციური განცდები: შიში, საკუთარ თავში დაურწმუნებლობა, უმწეობა. ქირურგიული ოპერაციის მოლოდინი და გაურკვეველი გამოსავალი, რომელშიც იმყოფება პაციენტი წინასაოპერაციო პერიოდში, ხელს უწყობს სხვადასხვა ნერვული, შფოთვითი, ფობიური დარღვევების (კარდიოფობია, კარდიონევროზი) განვითარებას, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო აღრმავებს დაავადების მიმდინარეობას. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა კარდიოქირურგიული პაციენტების ფსიქოემოციური მდგომარეობის შესწავლა. კვლევის მიზანია კარდიოქირურგიული პაციენტების ფსიქოემოციური მდგომარეობის შესწავლა წინასაოპერაციო პერიოდში.

კვლევის მეთოდები: კვლევაში გამოყენებულ იქნა კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა „ცხოვრების მიზნის ტესტი“ (Purpose-in-Life Test). კვლევა განხორციელდა აკად. გ. ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში.

კვლევის შედეგები:

კვლევით გამოვლინდა, რომ პაციენტებში „ცხოვრების მიზნის“ საერთო მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია ($M=86$), რაც ადასტურებს დაავადების ნეგატიურ გავლენას სიცოცხლეზე.

დაბალია ტესტის ყველა ინდიკატორის მაჩვენებელი: „ცხოვრების მიზანი“ – $M=23$; „სიცოცხლის პროცესი“ – $M=24$; „სიცოცხლის შედეგიანობა“ – $M=20$; „კონტროლის ლოკუსი – მე“ – $M=15$; „კონტროლის ლოკუსი – სიცოცხლე“ – $M=25$.

მაჩვენებლების დაბალი დონე გვიჩვენებს, რომ პაციენტები ცხოვრობენ უფრო დღევანდელი, ან გუშინდელი დღით, არ აქვთ განსაზღვრული მომავალი ცხოვრების მიზანი და არც მისი უკეთესობისკენ შეცვლაზე ფიქრობენ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ არ სჯერათ ოპერაციის შემდეგ ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისა.

რესპონდენტები უკმაყოფილონი არიან ცხოვრებით. მათი აზრით, ავადმყოფობის გამო სიცოცხლისა და მუშაობის თვითშეზღუდვების შედეგად, ცხოვრება არ განვითარდა იმ გზით, როგორზეც ისინი ოცნებობდნენ. ცხოვრებაში ვერ ხედავენ ნათელ ინტერესს და იგი ეჩვენებათ, როგორც უაზრო, ერთფეროვანი, მოსაწყენი, უინტერესო, ცარიელი. ნებისა და ხასიათის სისუსტის გამო ცხოვრების ზოგ სიტუაციაში არასათანადო ქცევა გამოავლინეს, მიჰყვებოდნენ ცხოვრების დინებას და ვერ შეძლეს ეპოვათ საკუთარი მოწოდება.

პაციენტების აზრით, ბევრი რამ დამოკიდებულია არა საკუთარ ძალისხმევაზე, არამედ ობიექტურად განვითარებულ მოვლენებზე (მაგ., ავადმყოფობა), რომელთა მართვა რთულია.

დასკვნა: ამგვარად, ქირურგიული ოპერაციის მოლოდინის პერიოდში პაციენტების უმრავლესობას აღენიშნება საკუთარი ცხოვრების დაბალი გააზრება და დაბალი პიროვნული თვითშეფასება, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს სხვადასხვა ნერვული დარღვევის განვითარებას.

პაციენტებისათვის ქირურგიული ოპერაცია სერიოზული სტრესული ფაქტორია. ოპერაციაზე ფსიქოემოციური რეაგირების კორექტირების მიზნით, პაციენტები საჭიროებენ კვალიფიციურ ფსიქოლოგიურ და ფსიქოთერაპიულ მხარდაჭერას. ამ მხრივ, საჭიროა ფსიქოთერაპევტების მოწვევა კარდიოლოგიურ საავად-

მყოფოში და ფსიქოთერაპიული ინტერვენციების სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება. ფსიქოლოგიური მხარდაჭერის უზრუნველყოფის დროს მნიშვნელოვანია პოსტოპერაციულ პერიოდში მომავალი ცხოვრებისეული ორიენტირების ფორმირება, ჯანსაღი ცხოვრების ნების, თვითგანვითარების მისწრაფების ნახალისება.

საკვანძო სიტყვები: გულის თანდაყოლილი მანკი, ფსიქოემოციური მდგომარეობა, კარდიოქირურგიული პაციენტი, ცხოვრების მიზნის ტესტი

Psychological Condition of Patients with Congenital Heart Disease in Preoperative Period

Tengiz Verulava

Professor, Institute Health Policy and Insurance

Ilia State University

Tbilisi, Georgia

tengiz.verulava@tsu.ge

Cardiovascular patients are often diagnosed with depressive and anxiety disorders that negatively affect the consequences of the disease. The surgical operation is accompanied by special emotional feelings: fear, insecurity, helplessness. The expectation of an operation and an uncertain solution in which the patient is in the pre-operative period promotes the development of various nervous, anxious, phobic disorders (cardiophobia, cardioneurosis), which in turn aggravates the disease. In this regard, it is interesting to study the psycho-emotional status of cardiovascular patients. The study aims to study the psycho-emotional state of cardiovascular patients in the pre-operative period.

Research Methods: Quantitative and qualitative methods of statistical analysis were used in the study. As a research tool was used the "Purpose-in-Life Test". The research was carried out in the Chapidze's Emergency Cardiology Center.

Research Results: The study found that the overall indicator of "life goals" in patients is significantly lower ($M = 86$), which confirms the negative impact of the disease on life. All indicators of the test are low: "The purpose of life" – $M = 23$; "Life Process" – $M = 24$; "Success of Life" – $M = 20$; "Control Lock – I" – $M = 15$; "Control Lock – Life" – $M = 25$.

The low level of indicators shows that patients do not have the goal of future life and do not even think about changing it, also they does not believe about significant improvement in health after surgery.

Respondents are dissatisfied with life. According to them, because of the sickness, life seems like a senseless, monotonous, boring, uninteresting, empty. Patients believe that much things in life does not depends on their efforts, but on objective developments (eg illness) which are difficult to manage.

Conclusion: Thus, the majority of cardiosurgery patients have a low level of self-esteem, which may effect to the development of various nervous disorders. Surgical operation is a serious stress factor for patients. Patients need qualified psychological and psychotherapeutic support in order to adjust the psychoemotional response to the surgical operation. In this regard, it is necessary to invite psychotheraputists in the cardiology hospital and use different strategies for psychotherapeutic interventions. It is important to form a future life orientation in the postoperative period, encourage healthy lifestyle and self-development aspirations.

Keywords: *Congenital heart failure, psycho-emotional condition, cardio-surgery patient, Purpose-in-Life Test*

აგრესიის, სკოლაში სოციალური ქცევისა და პიროვნული ფაქტორების ურთიერთმიმართება ბავშვებსა და მოზარდებში

თეონა ლოდია

ასისტენტდოქტორი, ფსიქოლოგიის დეპარტამენტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი, საქართველო

teona.lodia@tsu.ge

ლუიზა არუთინოვა

ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დეპარტამენტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი, საქართველო

luiza.arutinova@tsu.ge

კვლევაში, რომელიც ჩატარდა თბილისის სხვადასხვა რაიონში განლაგებულ 7 სკოლაში, მონაწილეობა მიიღო 8-დან 13 წლამდე ასაკის 414 მოსწავლემ (208 გოგონამ და 206 ბიჭმა) და მათმა კლასის დამრიგებლებმა. გამოყენებული იყო შემდეგი საკვლევი ინსტრუმენტები: კონკრეტულ სიტუაციებში აგრესიული ქცევის შესაფასებელი ინსტრუმენტის (EAS, Franz und Ulrike Petermann. 2000), მასწავლებლის მიერ მოსწავლის სოციალური და სწავლის ქცევის შეფასების კითხვარის (LSL, Franz und Ulrike Petermann. 2013), კეტელის ბავშვებისათვის განკუთვნილი 12-ფაქტორიანი პიროვნული კითხვარის (CPQ, Cattell, R.B.) ჩვენ მიერ შემუშავებული ქართული ვერსიები. თითოეულ გამოყენებულ ინსტრუმენტს აღმოაჩნდა საკმაოდ მაღალი შინაგანი შეთანხმებულობა.

მიღებული შედეგებიდან აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენიმე ძირითადს. აღმოჩნდა, რომ გარკვეული პიროვნული ნიშნები სანდო პრედიქტორებად გვევლინება კონფლიქტურ სიტუაციებში ამა თუ იმ ფორმით რეაგირების პროგნოზირებისთვის. კერძოდ, ბიჭებში

დომინანტურობის და სოციალური სითამამის ფაქტორებით შექმნილი მოდელი ძლიერი აგრესიის გამოვლენის ცვალებადობის დაახლოებით 12%-ს ხსნის; მსუბუქი აგრესიის მაჩვენებლის ცვალებადობის 19%-ს კი პროგნოზირებს Q4+ (ფრუსტრირებული), E+ (დომინანტური), F+ (უდარდელი), B- (დაბალი ვერბალური ინტელექტი) ფაქტორებით შექმნილი მოდელი, ხოლო სოციალურად სასურველი ქცევის მაჩვენებლის ცვალებადობის 23%-ს ხსნის მოდელი, რომელიც აერთიანებს B+ (ვერბალური ინტელექტი, გამჭრიახი), E- (ადვილად ადაპტირებადი), F- (სალად მოაზროვნე), Q4- (მშვიდი), H+ (სოციალური სითამამე, გაბედული) ფაქტორებს.

გოგონებში ძლიერი აგრესიის ცვალებადობის 12.1%-ს ხსნის ორი ფაქტორისგან (E+ დომინანტური და A- ჩაკეტილობა) შექმნილი მოდელი, მსუბუქი აგრესიის მაჩვენებლის ცვალებადობის 31.3%-ს პროგნოზირებს სამი ფაქტორით – Q4+ (დაძაბული, ფრუსტრირებული), E+ (დომინანტური, მიდრეკილი ქიშპობისკენ), A- (ჩაკეტილობა) – შექმნილი მოდელი; სოციალურად სასურველი ქცევის მაჩვენებლის ცვალებადობის 30%-ს პროგნოზირებს Q4- (არაფრუსტრირებადი, მშვიდი), E- (დამჯერი, ადვილად ადაპტირებადი), A+ (ღია, გულისხმიერი) ფაქტორებისგან შედგენილი მოდელი.

აგრესიული ქცევის გამოვლინებასთან დაკავშირებით შეინიშნება, აგრეთვე, საინტერესო ასაკობრივი დინამიკა: კონფლიქტურ სიტუაციებში მსუბუქი ფორმის აგრესიას უფრო ხშირად მიმართავენ ($M=7.5$) 11–12 წლიანები, ვიდრე 8–9 წლიანები ($M=6.2$ $p=0.03$).

აკადემიური მიღწევის პროგნოზირებისათვის სწავლასთან დაკავშირებული ისეთი უნარი აღმოჩნდა მნიშვნელოვანი, როგორცაა დამოუკიდებლობა სწავლისას. ორივე სქესის მოსწავლეებისათვის ეს ფაქტორი ხსნის აკადემიური მოსწრების ვარიაბელობის 23.3%-ს. აკადემიური მოსწრების ვარიაბელობის კიდევ ერთი პრედიქტორი აღმოჩნდა კონცენტრაციის უნარი. მთელი შერჩევისთვის ეს ცვლადი ხსნის აკადემიური მოსწრების ცვალებადობის 20%-ს, თუმცა, ცალკე ბიჭებისთვის მისი მნიშვნელობა გაცილებ-

ბით მცირეა (13%), ვიდრე გოგონებისთვის (22.3%). მთლიანობაში უნდა ითქვას, რომ გოგონებში აკადემიური წარმატების პროგნოზირებისათვის უფრო დიდი მნიშვნელობის აღმოჩნდა კონცენტრაციის უნარი, ხოლო ბიჭებში – დამოუკიდებლად სწავლის უნარი.

აკადემიური მოსწრების ცვალებადობის თვალსაზრისით პროგნოზული ღირებულება აღმოაჩნდა ისეთ პიროვნულ ნიშნებს, როგორებიცაა B (ვერბალური კომპეტენცია) და C (ემოციური სტაბილურობა) ფაქტორები. ბიჭებისთვის ამ ფაქტორებით შედგენილი მოდელი პროგნოზირებს აკადემიური წარმატების 20.6%, ხოლო გოგონებში – 27.6%-ს.

საკვანძო სიტყვები: *პიროვნული ნიშნები; აგრესიული ქცევა; სოციალური ქცევა სკოლაში*

The Relationship between Aggression, Social Behavior in School and Personality Factors in Children and Adolescents

Teona Lodia

Assistant Professor, Department of Psychology, Faculty of psychology and Educational Sciences

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

teona.lodia@tsu.ge

Luiza Arutinova

Associate Professor, Department of Psychology, Faculty of psychology and Educational Sciences

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

luiza.arutinova@tsu.ge

Research has been conducted in different districts Tbilisi in 7 schools. 414 students (208 girls and 206 boys), from the age of 8 to 13 and their teachers have participated in it. Research instruments used: 1. Test of the assessment aggressive behavior (EAS, F. Petermann&U.Petermann. 2000);

2. The teacher assessment list for social and learning behavior (LSL, F. Pertermann&U.Petermann, 2013); 3. Children's Personality Questionnaire (CPQ, Cattell, R.B), Georgian version developed by us. Each of used instruments have been detected high internal consistency.

From the obtained has been mentioned only a few key points. It has turned out that certain personal traits are reliable predictors for predicting response in conflict situations. In particular, the model created by the dominance and sociability factors in boys explains about 12% of the variability of strong aggression. 19% of the variability of the passive aggression predicts the model created by Q4+ (Tense), E+ (Dominant), F+ (Cheerful), B- (Concrete Thinking) factors and 23% of the variability of the socially acceptable behavior explains the model, which combines B+ (Abstract Thinking), E- (Submissive), F- (Sober, Serious), Q4- (Relaxed), H+ (Bold, Adventurous) factors.

The model, created of two factors (E+ Dominant, A- Reserved), explains 12.3% of the variability of strong aggression in girls, 31.3% of the variability of the passive aggression index predicts three factors – Q4+ (Tense, Driven), E+ (Dominant), A-(Reserved) model; 30% of the variability of socially acceptable behavior predicts the model created by Q4- (Relaxed), E- (Submissive, Unassertive), A+ (warm, attentive to others) factors.

It is also observable interesting age dynamics: passive aggression in conflict situations is more frequent (M=7.5) between 11-12 years, rather than 8-9 years (M=6.2 p=0.03).

To predict academic achievement is important the ability, such as independence in learning. This factor explains 23.3% of the variance of academic achievement in both genders. Another predictor of academic achievement variability has turned out as the ability to concentrate. This variable for the whole selection explains 20% of the variability in academic achievement but for the boys it is significantly lower (13%) than for the girls (22.3%). It is important to note that two factors: B (verbal competence) and C (emotional stability) have a predictive value for academic achievement. The model created with these factors predicts 20.6% of academic achievement in boys and 27.6% in girls.

Keywords: *Personality Traits, Aggressive Behavior, Social Behavior in School.*

მუცლადყოფნის პერიოდში ანტიეპილეფსიური მედიკამენტების ზეგავლენის მქონე ბავშვების კოგნიტური ფუნქციონირება

შორენა მამუკაძე

ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დეპარტამენტი, ფსიქო-
ლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
shorena.mamukadze@tsu.ge

თანავტორები: გაგოშიძე თ., გოგატიშვილი ნ., მეტრეველი მ.,
კასრაძე ს., ედიბერიძე თ., ლომიძე გ., ტატიშვილი ნ.

შესავალი: მუცლადყოფნის პერიოდში ანტიეპილეფსიური წამლე-
ბის ზეგავლენის შესახებ მონაცემები არაერთგვაროვანია და სა-
ჭიროებს შემდგომ შესწავლას. ჩვენი კვლევის მიზანი იყო შეგვეს-
წავლა ფეტალური ანტიეპილეფსიური მედიკამენტების ზეგავლე-
ნა 3-დან 6 წლამდე ბავშვების კოგნიტურ ფუნქციონირებაზე.

მეთოდი: კვლევაში მონაწილეობა მიიღო 3-დან 6 წლამდე 100-მა
ბავშვმა. აქედან 50 ბავშვის (საშუალო ასაკი – 52,5 თვე; SD-12.8)
დედას დიაგნოსტიკური ჰქონდა ეპილეფსია და ორსულობის
განმავლობაში იღებდა ანტიეპილეფსიურ მედიკამენტებს, ხოლო
50 ბავშვის (საშუალო ასაკი – 54,2 თვე; SD-14,5) დედეებს არ ჰქონ-
დათ ეპილეფსიის დიაგნოზი (საკონტროლო ჯგუფი). თითოეულ
ბავშვს ჩაუტარდა ვექსლერის ინტელექტის სკალა სკოლამდელი
ასაკის ბავშვებისათვის (WPPSI –IV Wechsler Preschool and Primary
Scale of Intelligence Fourth Edition).

შედეგები: მოქნილი მსჯელობის ინდექსი უფრო მაღალი აღმოჩ-
ნდა საკონტროლო ჯგუფის ბავშვებთან (mean – 98.8; SD – 13),
საკვლევი ჯგუფის ბავშვთა ანალოგიურ მონაცემებთან შედარე-
ბით (mean – 86; SD – 13.6) ($p < 0.001$). მუშა მესხიერების მაჩვენე-

ბელი უფრო მაღალი ჰქონდათ ფეტალური ანტიეპილეფსიური ზეგავლენის არმქონე ინდივიდებს ($\text{mean} - 112.4$; $\text{SD} - 13.6$), ვიდრე იმ ბავშვებს, რომელთა დედებიც ორსულობის დროს იღებდნენ ანტიკონვულსიურ მკურნალობას ($\text{mean} - 96.7$; $\text{SD} - 15.8$) ($p < 0.001$). ინფორმაციის გადამუშავების სიჩქარის ინდექსი უფრო მაღალი ჰქონდათ საკონტროლო ჯგუფის ბავშვებს ($\text{mean} - 102.8$; $\text{SD} - 12.7$), ვიდრე ეპილეფსიის მქონე დედების შვილებს ($\text{mean} - 90.2$; $\text{SD} - 18.2$) ($p < 0.001$). ვერბალური გაგების მაჩვენებელი მაღალი ჰქონდათ საკონტროლო ჯგუფის ბავშვებს ($\text{mean} - 97.06$; $\text{SD} - 11.4$) იმ ბავშვებთან შედარებით, რომლებიც იმყოფებოდნენ ფეტალური ანტიკონვულსანტების ზეგავლენის ქვეშ ($\text{mean} - 84.4$; $\text{SD} - 12.3$) ($p < 0.001$). ვიზუალურ-სივრცითი უნარის მაჩვენებელი უფრო მაღალი ჰქონდათ ბავშვებს, რომელთა დედებიც ორსულობის დროს არ იღებდნენ ანტიეპილეფსიურ მკურნალობას ($\text{mean} - 101.5$; $\text{SD} - 13.7$), შედარებით იმ ბავშვებთან, რომელთა დედებიც ორსულობის განმვალობაში ამ მკურნალობას გადიოდნენ ($\text{mean} - 86.4$; $\text{SD} - 13.4$) ($p < 0.001$). სრული IQ მაჩვენებელი, ეპილეფსიის მქონდე დედების შვილებთან შედარებით ($\text{mean} - 84.02$; $\text{SD} - 13.6$) ($p < 0.001$), მნიშვნელოვნად მაღალი ჰქონდათ საკონტროლო ჯგუფის ბავშვებს ($\text{mean} - 101.5$; $\text{SD} - 13.4$).

მრავლობითმა რეგრესულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ მუცლადყოფნის დროს ვალპროის მჟავით მკურნალობა ($\beta, -12.04$; $p = 0.006$), სხვა ფეტალური ანტიეპილეფსიური წამლების გამოყენება ($\beta, -16.91$; $p = 0.006$), დედების არავერბალური ინტელექტის კოეფიციენტი ($\beta, 6.543$; $p < 0.001$) და პირველი ფრაზების გამოყენების ასაკი ($\beta -1.3$; $p < 0.001$) ბავშვების სრული IQ-ს საუკეთესო პროგნოზია.

დასკვნები: ფეტალური ანტიეპილეფსიური წამლებით მკურნალობა ასოცირებულია სკოლამდელი ასაკის ბავშვების კოგნიტური ფუნქციონირების დაქვეითებასთან. დედების მაღალი არავერბალური ინტელექტის კოეფიციენტი და ფრაზების ნაადრევად გამოყენების დაწყება ეპილეფსიის მქონე დედების ბავშვების კოგნი-

ტური ფუნქციონირების სანდო პროგნოზირების შესაძლებლობას იძლევა.

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტით (FR/373/8-313/13).

საკვანძო სიტყვები: კოგნიტიური ფუნქციონირება, ანტიეპილეფსიური ნამლები, ფეტალური პერიოდი

Cognitive Outcomes after Fetal Exposure to Antiepileptic Drug

Shorena Mamukadze

Associate Professor, Department of Psychology, Faculty of psychology and Educational Sciences

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

shorena.mamukadze@tsu.ge

co-authors: Gagoshidze T., Gogatishvili N., Metreveli M., Kasradze S., Ediberidze T., Lomidze G., Tatishvili N.

Objective: Data of effects of fetal antiepileptic drugs exposure are nonuniform, it needs further researches. The aim of the study was to Investigate cognitive functioning in fetal antiepileptic drug exposed children.

Methods: 100 children from 3 to 6 year were participated in the study: 50 children of woman with epilepsy (WWE) received AED treatment during pregnancy (mean age – 52.5 month; SD 12.8) and 50 children of women without epilepsy, control group (CG) (mean age – 54.2 month; SD 14.5). All children underwent Wechsler Preschool and Primary Scale of Intelligence Test.

Results: The Fluid Reasoning Index was higher in children from CG (mean – 98.8; SD – 13) compared to AED exposed children (mean – 86; SD – 13.6) ($p < 0.001$). The Working Memory Index was higher in unexposed individuals (mean – 112.4; SD – 13.6), compared to exposed children (mean

– 96.7; SD – 15.8) ($p<0.001$). The Processing Speed Index was higher in children from control group (mean – 102.8; SD – 12.7) compared to children of women with epilepsy (mean – 90.2; SD – 18.2) ($p<0.001$). The Verbal Comprehension Intelligence index was higher in children from CG (mean – 97.06; SD – 11.4), compared to AED exposed children (mean – 84.4; SD – 12.3) ($p<0.001$). The Visual Spatial Intelligence index was higher in unexposed individuals (mean – 101.5; SD – 13.7), compared to exposed children (mean – 86.4; SD – 13.4) ($p<0.001$). The Full Scale IQ was significantly higher in children from CG (mean – 101.5; SD – 13.4), compared to children of WWE (mean – 84.02; SD – 13.6) ($p<0.001$).

Multiple regression analysis showed that Exposure to VPA (β , -12.04; $p=0.006$), Other AEDs (β , -16.91; $p=0.006$), maternal performance IQ (β , 6.543; $p<0.001$) and age at first phrases (months) (β -1.3; $p<0.001$) were associated with full scale IQ score of children.

Conclusion: Fetal antiepileptic drug exposure is associated with decreased cognitive functioning in preschool children. High maternal performance IQ and early use of first phrases is linked with better early cognitive ability.

Acknowledgements: The study is performed within scientific grant of the Shota Rustaveli National Scientific Foundation (FR/373/8-313/13).

Keywords: *Cognition, Antiepileptic Drug, Fetal Period*

ფიქსირებული განწყობის მეთოდის ვალიდობის საკითხი განწყობის დინამიკური სტრუქტურის მოდელის თვალსაზრისით

მერაბ მაღრაძე

ასოცირებული პროფესორი, ფილოსოფიადფსიქოლოგიის დეპარტამენტი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

merabi.magradze@gmail.com

განწყობის დინამიკური სტრუქტურის მოდელის თვალსაზრისით, ის ფსიქიკური რეალობა, რასაც დ. უზნაძის მოძღვრებაში ფიქსირებული განწყობა ეწოდება, არის არა განწყობა, არამედ განწყობის პერმანენტული ცვლილება-მოდულიზაციის ერთ-ერთი ფაქტორი. ამასთან დაკავშირებით, დგება ფიქსირებული განწყობის მეთოდით განწყობის კვლევის ვალიდობის საკითხი. ფიქსირებული განწყობის მეთოდით მიმდინარე ექსპერიმენტული სქემის ანალიზის გზით მოხსენებაში ნაცადია იმის დასაბუთება, რომ ფიქსირებული განწყობის ეფექტი ნამდვილად არ არჩვენებს იმას, რომ სუბიექტი მთლიანობითაა შეიცვალა, როგორც ეს სტატიკურ მოდელშია წარმოდგენილი. ამის მიუხედავად, აღნიშნული მეთოდი მაინც სრულიად შესაბამისია განწყობის კვლევისთვის, რადგან ამ შემთხვევაში სახეზეა განწყობის ერთი კომპონენტის ცვლილება, რაც ცვლის მთელი ქცევის ერთ-ერთ მოქმედებას. ამრიგად, განწყობის პერმანენტული ცვლილება-მოდულიზაცია, მოტივაციურ და სიტუაციურ ფაქტორთა ცვალებადობასთან ერთად, იმაზეცაა დამოკიდებული, თუ რა ფიქსირებული განწყობები გააჩნია სუბიექტს, ქცევის ცალკეული აქტების მიზანშეწონილი განხორციელების ინსტრუმენტული შესაძლებლობის სახით.

საკვანძო სიტყვები: განწყობა, ფიქსირებული განწყობა, დინამიკური მოდელი, სტატიკური მოდელი

Issue of Validity of Fixed Set Method in Light of Dynamic Structure Model of Set

Merab Maghradze

Associate Professor, Department of Philosophy and Psychology

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

merabi.magradze@gmail.com

According to the dynamic structure model of set, the psychic reality, referred as fixed set in the study of D. Uznadze, is not the set, but one of the factors of permanent change/modification of set. In this regard the issue of validity of set study with the fixed set method stands in agenda. The article, through the analysis of fixed set method experimental scheme, makes the attempt to prove that fixed set effect does not really show that the subject has changed in reality, as it is presented in static model. Nevertheless, this method is still absolutely valid for set study, as in this case we have change of one component of set, which changes one of the acts of whole set. Therefore, permanent change/modification of set, in complex with the change of motivation and situation factors, depends also on what fixed sets the subject has in face of instrumental possibilities of deliberate implementation of single acts of behavior.

Keywords: *Set, Fixed Set, Dynamic Model, Static Model*

საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეთა ინტერესებისა და პიროვნული მახასიათებლების კვლევა

თინათინ საბაური

დოქტორანტი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი, საქართველო

tinatinsabauri@yahoo.de

გლობალურმა ცვლილებებმა და შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებმა საქართველო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა. ურთულეს სიტუაციაში აღმოჩნდა ქართველი ახალგაზრდობა, რომელთაც უჭირთ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადება და ყოველდღიურად მზარდი კონკურენციის პირობებში დასაქმების ბაზარზე თავის დამკვიდრება. საერთო ვითარებას ართულებს ის გარემოებაც, რომ მათ მეტად უძნელდებათ საკუთარი უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასება; ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზება, მიდრეკილებებისა და ინტერესების აღმოჩენა და მათი რელევანტურ პროფესიებთან დაკავშირება; ამდენად, უმნიშვნელოვანესია მოსწავლეების სწორი პროფესიული ორიენტაცია და კარიერული არჩევანის გაკეთებისას მათი მხარდაჭერა.

მოსწავლეთა პროფორიენტაციის ხელშესაწყობად გერმანულიდან ითარგმნა და ქართულ ენაზე ადაპტირდა ე.წ. ინტერესების ტესტი, რომელიც 8 სხვადასხვა სფეროდან მოიცავს კითხვებს. იმისათვის, რომ კვლევა უფრო მასშტაბური და საინტერესო გაგვხებად, ინტერესების კითხვარში გავაერთიანეთ მიუნხენის პიროვნული ტესტი. პიროვნული მახასიათებლებისა და ინტერესების კვლევამ მოიცვა 319 მოსწავლე, მათგან 192 გოგონა და 127 ბიჭი. შერჩევა რეპრეზენტატული იყო საქართველოს სამ რეგიონში: თბილისში, რუსთავსა და გორში.

კვლევის მიზანი იყო:

- 14-17 წლამდე მოზარდების პროფესიული ინტერესების კვლევა;
- 14-17 წლამდე მოზარდების პიროვნული ნიშნების კვლევა;
- პროფესიულ ინტერესებსა და პიროვნულ ფაქტორებს შორის კავშირის კვლევა.

კვლევის შედეგების საფუძველზე შეგვიძლია, დავასკვნათ:

- მოსწავლეები, რომელთაც კონკრეტული სფეროსადმი ინტერესები ამოძრავებთ, რომელ პროფესიებში იქნებიან უფრო წარმატებულნი;
- სად შეძლებენ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა და პოტენციალის მეტად წარმოჩენას;
- სად გაუმკლავდებიან უფრო ადვილად პროფესიულ გამოწვევებს.

შესაბამისად, კვლევის შედეგების შეჯამება დაგვეხმარა იმის დადგენაში, თუ რომელი ინტერესი რომელ პროფესიაში განაპირობებს უკეთეს პროფესიონალად ჩამოყალიბებისა და უკეთეს კვალიფიციურ კადრად შედგომის ფაქტორს.

ჩვენთვის ასევე ნიშანდობლივი იყო კვლევის პროცესში იმის დადგენა, თუ რა კორელაციაა მოსწავლეთა პიროვნულ მახასიათებლებსა და მათ ინტერესებს შორის და რომელი პიროვნული ნიშანი რომელ ინტერესთან გვაძლევს დადებით კორელაციას.

აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს, პროფორიენტაციისა და კარიერის სექტორის სრულყოფილად ჩამოყალიბებასა და განვითარებას. სრულყოფილად ჩამოყალიბებული პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისი ხელს შეუწყობს ამ მიმართულებით საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ევროპულ სისტემასთან დაახლოებასა და ჰარმონიზაციას, რაც, თავისი მხრივ, უზრუნველყოფს მოსწავლეთა სრულფასოვან მოქალაქეებად ფორმირებას, მათი თვითშეფასების ჩამოყალიბებას, პიროვნული მახასიათებლების იდენტიფიცირებასა და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების პროცესს.

საკვანძო სიტყვები: ინტერესები, პიროვნული მახასიათებლები, კორელაცია, პროფესია

Research of the interests and personal characters of the basic and secondary level students

Tinatin Sabauri

PhD Student, Department of Educational Sciences, Faculty of psychology and Educational Sciences

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

tinatinsabauri@yahoo.de

The Global changes and the modern Requirements of labor market put Georgia forward to significant challenges. The Georgian Youth are in a very difficult situation, too. They have some troubles to prepare for independent life and to integrate in labor market in the conditions of daily growing competition. The situation is complicated by the fact that, they have difficulties to evaluate their own skills; To analyze the strengths and weaknesses; To discover the tendencies and interests and to connect with their relevant professions. So, it is very important to choose the right professional orientation and to support them during the choice of profession.

To facilitate students' professional orientation and career guidance there are translated from German to Georgian the Interest test that consists of questions from 8 several fields. In order to make the research more dimensional and interesting, we put in the questionnaire together with the personal test of Munich. The survey of personal characteristics and interest includes 319 pupils, 192 – girls and 127 – boys. The selection was representative in three regions of Georgia: Tbilisi, Rustavi and Gori.

In the scope of the study was determined what is the relationship between certain professions and interests of pupils. Whatever field of interest gives us a positive correlation to the list of professions. Analysis of the results of the survey give us the opportunity to conclude that students who pursue specific areas of interest in which professions will be more succe-

ssful will be able to demonstrate their strong strengths and potentials and where they can easily deal with professional challenges. Consequently, the results of the survey will help us to determine which interest in which profession is to become a better professional and better qualified person.

It has also been remarkable for us to determine in the research process what correlation between the personal characteristics of the pupils and their interests is, and what kind of personal characteristic gives us the positive correlation with which interest.

The research aim is to develop the professional orientation and career guidance. Perfectly formed services of professional Orientation and Career Planning will help in the direction of the vocational education system with convergence and harmonization to the European system, that will provide the formation of students as full-fledged citizens, establishing their self-esteem, identification of personal characteristics And the informed decision making process.

Keywords: *Interests, Personal characteristics, Correlation, Profession*

ორიგინალურ ემოციათა სამყაროში: ემოციური ინტელექტი და ემოციური კრეატიულობა

ნათია სორდია

დოქტორანტი, ფსიქოლოგიის დეპარტამენტი, ფსიქოლოგიისა და
განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

natia.sordia900@pes.tsu.edu.ge

ხათუნა მარწყვიშვილი

ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დეპარტამენტი, ფსიქო-
ლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

khatuna.martskvishvili@tsu.ge

ემოციურ ინტელექტსა და ემოციურ კრეატიულობას შორის კავშირის კვლევიდან ჩანს, რომ საქმე ურთიერთდაკავშირებულ, თუმცა ურთიერთდამოუკიდებელ უნარებთან გვაქვს (Ivcevic, 2007) ამასთან, ნავარაუდევია, რომ ემოციურ ინტელექტსა და ემოციურ კრეატიულობას შორის კავშირი იმეორებს ინტელექტსა და კრეატიულობას შორის კავშირის სპეციფიკას (Averill, 1999). მიმდინარე კვლევა ემოციურ ინტელექტსა და ემოციურ კრეატიულობას შორის არსებული კავშირის კვლევის რეპლიკაციას და განვრცობას ისახავს მიზნად. კვლევაში მონაწილეობა 17-დან 49 წლამდე ასაკის ($M=21.87$, $SD=5.84$), 342 ადამიანმა (89 კაცი) მიიღო. ემოციური ინტელექტის გასაზომად გამოვიყენეთ ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის, შესაფასებელი კითხვარი (TEQue) (Petrides, 2009), ემოციური კრეატიულობის გასაზომად კი – ემოციური შემოქმედებითობის შესაფასებელი კითხვარი (ECI; Averill, 1999). შედეგებიდან ჩანს, რომ ემოციური ინტელექტი დაკავშირებულია ემოციურ კრეატიულობასთან. ემოციების გამო-

ხატვისა და მართვის უნარი დადებითად არის დაკავშირებული ემოციურ კრეატიულობასთან, ემოციათა რეგულაციის უნარი კი უარყოფითად უკავშირდება მას. ამასთან, ემოციური ინტელექტის სამი კომპონენტი (ემოციათა გამოხატვა, მართვა და რეგულირება) ემოციური კრეატიულობის პრედიქტორია. ამდენად, კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ემოციურ ინტელექტსა და ემოციურ კრეატიულობას შორის კავშირი ინტელექტსა და კრეატიულობას შორის კავშირის მსგავსია, თუმცა ამ კავშირზე ზღვრის ეფექტის შესაძლო გავლენა არ დასტურდება.

საკვანძო სიტყვები: *ემოციური ინტელექტი, ემოციური კრეატიულობა, ზღვრის ჰიპოთეზა, ინტელექტი, კრეატიულობა*

In the world of original emotions: emotional intelligence and emotional creativity

Natia Sordia

PhD Student, Department of Psychology, Faculty of psychology and Educational Sciences

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

natia.sordia900@pes.tsu.edu.ge

Khatuna Martskvishvili

Associate, Professor, Department of Psychology, Faculty of psychology and Educational Sciences

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

khatuna.martskvishvili@tsu.ge

Examination of the relationship between emotional intelligence and emotional creativity shows that these two constructs reflect related but independent abilities (Ivcevic, 2007). It is supposed that these emotional abilities are related in the same way as cognitive intelligence and creativity

(Averill, 1999). The present study is conducted to replicate and broaden the previous studies of the relationship between emotional intelligence and emotional creativity. 342 individuals, aged from 17 to 49 ($M=21.87$, $SD=5.84$), participated in the study (89 male). Emotional intelligence was measured with Trait Emotional Intelligence questionnaire (TEQue) (Petrides, 2009). Emotional Creativity was measured with Emotional Creativity Inventory (ECI; Averill, 1999). According to results, emotional intelligence is related to emotional creativity. such aspects of emotional intelligence as expression and management of emotions are positively related to emotional creativity while regulation of emotions is negatively related to emotional creativity. Furthermore, these three components of emotional intelligence – expression of emotions, management, and regulation – are important predictors of emotional creativity. Although the threshold hypothesis was not supported, generally, results from the study, allows us to say that the relationship between emotional intelligence and emotional creativity resembles the relationship between intelligence and creativity.

Keywords: *Emotional intelligence, Emotional creativity, Threshold hypothesis, Intelligence, Creativity*

თვითეფექტურობის გავლენა სტუდენტურ ცხოვრებასთან მორგებაზე

ნანა სუმბაძე

პროფესორი, ფსიქოლოგიის დეპარტამენტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი, საქართველო

nana580798@gmail.com

ნატო ტივაძე

მაგისტრი, ფსიქოლოგიის დეპარტამენტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი, საქართველო

nato.tivadze@yahoo.com

კვლევის მიზანს წარმოადგენდა თვითეფექტურობის ზეგავლენის შესწავლა თბილისელ და რეგიონიდან ჩამოსული პირველ-და მეოთხეკურსელების აკადემიურ და სოციალურ მორგებაზე, სტრესის დონეზე, სწავლითა და ცხოვრებით კმაყოფილებაზე.

კვლევის მეთოდს წარმოადგენდა გამოკითხვა. სულ გამოკითხული იყო ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი და მეოთხე კურსის 302 სტუდენტი. საკვლევი ინსტრუმენტი შედგებოდა დემოგრაფიული ბლოკისაგან, სტუდენტის უნივერსიტეტთან მორგების (SACQ, Baker & Sirjk, 1987), აღქმული სტრესის (Cohen, 1983), ზოგადი თვითეფექტურობის (Jerusalem & Schwarzer, 1995) გასაზომი კითხვარებისა და კმაყოფილების სკალისაგან.

მონაცემები დამუშავებულ იქნა დისპერსიული ანალიზის (ANOVA) მეშვეობით. ანალიზი განხორციელდა ცალ-ცალკე პირველ- და მეოთხეკურსელებთან. ანალიზმა აჩვენა, რომ პირველ-კურსელებში თვითეფექტურობა ზეგავლენას ახდენდა ყველა დამო-

კიდებულ ცვლადზე: ზოგად მორგებაზე ($F = 21.04, df=1; p <.05$), აკადემიურ მორგებაზე ($F = 3.9, df =1; p \leq .05$), სოციალურ მორგებაზე ($F = 25.55, df=1; p < .05$), GPA-ზე ($F = 26.32, df =1; p <.05$), სტრესზე ($F = 40.12, df=1; p < .05$), უნივერსიტეტში სწავლით კმაყოფილებაზე ($F = 26.45, df =1; p <.05$) და ცხოვრებით კმაყოფილებაზე ($F = 8.05, df =1; p < .05$).

უნივერსიტეტში სწავლის დაწყებამდე საცხოვრებელი ადგილის ზეგავლენა (რეგიონი-დედაქალაქი) პირველ კურსზე ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე თვითთვექტურობა. იგი ზეგავლენას ახდენს მხოლოდ აკადემიურ მორგებაზე ($F = 12.88, df =1; p < .05$), ზოგად მორგებასა ($F = 5.12, df =1; p <.05$) და სტრესზე ($F = 4.12, df =1; p < .05$), ამასთან, თბილისში მცხოვრებ სტუდენტებთან ზოგადად მორგების, ასევე, აკადემიური მორგების დონე უფრო მაღალია, ხოლო სტრესის დონე – უფრო დაბალი.

მეორე კურსზე თვითთვექტურობა ზეგავლენას ახდენს: უნივერსიტეტში სწავლით კმაყოფილებაზე ($F = 33.2, df =1; p < .05$), ცხოვრებით კმაყოფილებაზე ($F = 40.82, df=1; p < .05$), ზოგადად მორგებაზე ($F=9.75, df=1; p <.05$), სოციალურ მორგებასა ($F=12.61, df =1; p < .05$) და სტრესის დონეზე ($F = 18.22, df =1; p < .05$), მაგრამ არ ახდენს გავლენას აკადემიურ მოსწრებასა და აკადემიურ მორგებაზე.

მაღალი თვითთვექტურობის მქონე სტუდენტები აჩვენებენ ზოგადი და სოციალური მორგების უფრო მაღალ დონეს, მეტ კმაყოფილებას უნივერსიტეტში სწავლითა და ცხოვრებით და სტრესის ნაკლებ დონეს. ამასთან, მეორეკურსელების ყველა მაჩვენებელი უკეთესია პირველკურსელების მაჩვენებლებზე. უნივერსიტეტში სწავლის დაწყებამდე თბილისში მაცხოვრებელი სტუდენტები რეგიონებიდან ჩამოსულ სტუდენტებზე უკეთ გრძნობენ თავს. განიცდიან ნაკლებ სტრესს, მეტად არიან კმაყოფილი უნივერსიტეტში სწავლით და უკეთ ერგებიან საუნივერსიტეტო გარემოს.

საკვანძო სიტყვები: თვითთვექტურობა, მორგება, ცხოვრებით კმაყოფილება, სტრესი

Impact of Self-efficacy on the Adjustment to Student Life

Nana Sumbadze

Professor, Department of Psychology, Faculty of psychology and Educational Sciences

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

nana580798@gmail.com

Nato Tivadze

Master, Department of Psychology, Faculty of psychology and Educational Sciences

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

nato.tivadze@yahoo.com

The aim of the study was to investigate the effect of self-efficacy on the academic and social adjustment, level of stress, satisfaction with life of the first and fourth year students.

302 students were studied by the questionnaire comprising of background data, students adjustment to University (SACQ, Baker & Sirjk, 1987), perceived stress (Cohen, 1983), general self-efficacy (Jerusalem & Schwarzer, 1995) and life satisfaction scales.

Data was analysed by ANOVA, separately for the first and fourth years students. Analyses showed the impact of self-efficacy on all the dependent variables: on adjustment ($F = 21.04$, $df=1$; $p < .05$), academic adjustment ($F = 3.9$, $df = 1$; $p \leq .05$), social adjustment ($F = 25.55$, $df=1$; $p < .05$), on GPA ($F= 26.32$, $df = 1$; $p < .05$), stress ($F = 40.12$, $df=1$; $p < .05$), satisfaction with studies at University ($F = 26.45$, $df = 1$; $p < .05$) and life ($F = 8.05$, $df=1$; $p < .05$).

The place of residence before University studies on the first year students has lesser effect than self-efficacy. It effects only academic adjustment ($F = 12.88$, $df = 1$; $p < .05$), general adjustment ($F = 5.12$, $df = 1$; $p < .05$) and stress ($F = 4.12$, $df = 1$; $p < .05$). Among Tbilisi residents academic and general adjustment is higher, while level of stress is lower.

Among fourth year students self-efficacy effects satisfaction with university studies ($F = 33.2$, $df = 1$; $p < .05$) and life ($F = 40.82$, $df = 1$; $p < .05$), social adjustment ($F = 12.61$, $df = 1$; $p < .05$), level of stress ($F = 18.22$, $df = 1$; $p < .05$), but has no impact on academic adjustment and achievement.

Students with high self-efficacy demonstrate higher level of general and social adjustment, higher satisfaction with studies and life and lower level of stress. The indicators of fourth year students are better than those of first-year students. Residents of Tbilisi feel better than students who came from regions, experiencing less stress, more satisfaction with studies and better adjustment.

Keywords: *Self-efficacy, Adjustment, Life Satisfaction, Stress*

ქართველი მიგრანტები საფრანგეთში: ჯგუფის შიგნით და ჯგუფთაშორის ურთიერთობების აღქმა და შეფასებები

ეკატერინე ფირცხალავა

ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დეპარტამენტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

ekaterine.pirtskhalava@tsu.ge

ნაშრომში წარმოდგენილია მონაცემთა ანალიზი კვლევიდან, რომელიც ეხება საქართველოდან საფრანგეთში მიგრაციის შემდეგ ახალ სოციალურ გარემოში ქართველების ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესის შესანავლას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში შექმნილი მძიმე სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გამო მოსახლეობის ნაწილი საზღვარგარეთ წავიდა და სამუშაოს საძებნელად და ოჯახის ფინანსურად მხარდასაჭერად. საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის საფუძველზე მიღებული ინფორმაციით, 2015 წლის 1 იანვრისთვის საქართველოში დაახლოებით 3,729,500 ადამიანი ცხოვრობს. ბოლო 20 წლის განმავლობაში მოსახლეობა შემცირდა დაახლოებით 1.241-ით(22,72%). 90-იან წლებში შრომითი მიგრაციისთვის პოპულარული ქვეყნები იყო პოსტსაბჭოთა რესპუბლიკები, განსაკუთრებით, რუსეთი, უკრაინა და ბელორუსია. ევროპის ქვეყნები განსაკუთრებით პოპულარული გახდა ბოლო წლებში. მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD-2015) კვლევა აჩვენებს ქართველების შრომითი მიგრაციისთვის პოპულარულ დასავლეთის შემდეგ ქვეყნებს: საბედნეთი, კვიპროსი, აშშ, გერმანია, ესპანეთი და იტალია. ამ ჩამონათვალში საფრანგეთი არ არის, მაგრამ საქართველოს მოქალაქეებისთვის საფრანგეთის სოციალური და ჯანდაცვის სისტემა განაპირობებს მათ არჩე-

ვანს. როგორც მიგრაციის მკვლევრები ამბობენ, მიგრაციის დროს ერთი კულტურის წარმომადგენლები, სხვა კულტურულ გარემოში მოხვედრის შედეგად, ფსიქოლოგიურ და კულტურულ ცვლილებებს განიცდიან, მათი ინტეგრაციის პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია მათ მიერ ახალი კულტურული ნორმების ათვისება. მიგრანტების ადაპტაცია-ინტეგრაციის პროცესზე გავლენას ახდენს მიმღები ქვეყნის კულტურა, ისტორია, ემიგრაციის პოლიტიკა და რეალობა, რომელიც ხვდება მიგრანტს.

მოხსენებაში წარმოდგენილია ინტერვიუების დროს მიღებულ მასალებზე დაყრდნობით საფრანგეთში მცხოვრები ქართველი მიგრანტების ადაპტაცია – ინტეგრაციის პროცესის აღწერა. ქართველი მიგრანტების აღქმა ჯგუფის შიგნით (ინტრაჯგუფური) და ჯგუფთაშორის (ინტერჯგუფური) ურთიერთობების ქრილში კატეგორიზაციის გარკვეულ პრინციპებს ეყრდნობა, ინტერჯგუფური პროცესების საფუძველი სოციალური კატეგორიზაციაა, რაც ეხმარება ინდივიდს მწირი ინფორმაციის საფუძველზეც გამოიტანოს დასკვნა, დაზოგოს ენერგია და უკეთესი ადაპტირება მოახდინოს გარემოში. ჯგუფური კატეგორიზაციის ფენომენი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვადასხვა ქვეყნის/ეროვნების/რელიგიის წარმომადგენელთა ურთიერთობის პროცესში. როდესაც იმიგრანტების კატეგორიზაცია ხდება, როგორც „სხვა“ ჯგუფისა, ადამიანები გადაჭარბებულად აღიქვამენ განსხვავებულობასაც და საკუთარი ჯგუფის წევრებთან მსგავსებებსაც. კვლევის დროს კითხვები ამ მამართულებით იყო დასმული. სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გაანალიზებულია ქართველი მიგრანტების სოციალური აღქმები და შეფასებები მიმღები ქვეყნის, მისი მოსახლეობის შესახებ, ქართველებსა და ფრანგებს შორის მსგავსებისა და განსხვავების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: მიგრაცია; საფრანგეთი; ინტრაჯგუფური ურთიერთობა; ინტერჯგუფური ურთიერთობა; ეთნიკური იდენტობა.

Georgians Migrants in France: Intra-group and Intergroup Perception and Attitudes

Ekaterine Pirtskhalava

Associate Professor, Department of Psychology, Faculty of psychology and Educational Sciences

Ivane Javakishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

ekaterine.pirtskhalava@tsu.ge

The study shows how Georgian migrants settled down in France. This qualitative research centers on the process of adaptation and integration of Georgians in a new environment. After the collapse of the Soviet Union, economic difficulties have led to the highest levels of out-migration from country after independence of Georgia. Based on the data of General Population Census from 2014 the Georgian population as of January 1st 2015 is amounts to 3,729,500 persons. During last two decades from a population reduction of around 1,241 (22, 72%) persons. In the 90s very popular place for labor migration for Georgians was the follow country of Post-Soviet republic- Especially Russia, Ukraine and Belarus. EU countries became popular for labor migration later, and there were different countries by preferences for women and for man Last work of ICMPD – International Center for Migration Policy Development- (2015) has shown Georgian migrants stocks by selected western country of residence, they are Greece; Cyprus; USA; Germany; Spain; Italy. There does not mentioned about France, but social policy of this country is attracted for Georgian migrants. The processes of adaptation and integration are complex since they usually imply keeping the balance between the will to maintain one's own cultural identity while constructing positive relations with the host society, a multitude of factors contribute to the integration process such as the individual's ability to learn a new language and culture, not resisting a value of dominant and primary culture; the openness and tolerance of the host society towards new members, etc. Based on in-depth interviews with migrants who live in France this work focuses on study perception of Georgian emigrants about: the dynamic of adaptation process in the new socio- cultural spaces;

the relationships inside the group (intra-group) and between the groups (intergroup); The study tries to analyze Georgian migrants' perception and attitudes of receiving country, host society, similarities and differences between Georgian and French people.

Keywords: *Migration; France; Intra-group relations; Intergroup relations; Ethnic identity*

სიღარიბე და მასთან გამკლავების სტრატეგიები საქართველოში – ბავშვების გამოცდილება

ანასტასია ქიტიაშვილი

ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დეპარტამენტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

anastasia.kitiashvili@tsu.ge

კვლევები ცხადყოფს, რომ სიღარიბე უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვის კოგნიტურ, ემოციურ თუ სოციალურ განვითარებასა და, ზოგადად, კეთილდღეობაზე (Ridge, 2009; Atree, 2006; Becker, 2008). სიღარიბე ხშირად ხდება ბავშვების გარიყვისა თუ სტიგმის მიზეზი. სიღარიბე საქართველოსთვის ერთ-ერთი მწვავე სოციალური პრობლემაა. თუმცა, სიღარიბის დაძლევის სტრატეგიების დაგეგმვისას ნაკლებად გამოიყენება კვლევები, რომლებიც ასახავს სიღარიბეში მაცხოვრებელი ოჯახების განწყობებსა თუ გამოცდილებას; არ არსებობს უშუალოდ ბავშვებთან ჩატარებული კვლევებიც. შესაბამისად, ეს კვლევა მნიშვნელოვანია როგორც კვლევის, ისე სიღარიბის დაძლევის ინტერვენციების დაგეგმვის თვალსაზრისით.

კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა სიღარიბის გავლენა ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებაზე; თვისებრივი ინტერვიუ ჩატარდა 12-17 წლის ასაკის 20 მოზარდთან (12 გოგო და 8 ბიჭი) ქალაქ თბილისში, სპეციალურად შედგენილი ინსტრუმენტის გამოყენებით. ბავშვები ცხოვრობდნენ სოციალური მომსახურების სააგენტოში რეგისტრირებულ ოჯახებში, რომლებიც მთავრობისაგან იღებდნენ სოციალურ დახმარებას. კვლევისას დაცული იყო საერთაშორისო დონეზე მიღებული ეთიკის ყველა სტანდარტი.

კვლევამ აჩვენა სიღარიბის მრავალმხრივი უარყოფითი გავლენა ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებაზე:

- ეკონომიკური სიდუხჭირე – ოჯახებს არასაკმარისი ფულადი რესურსები აქვთ და ბავშვები მუდმივად განიცდიან შიშს, რომ ფული შეიძლება არ ეყოს;
- საკვების ნაკლებობა – ბავშვებს ხშირად ენატრებათ განსხვავებული საკვები, გემრიელი ტკბილეული; მათი საკვები ერთფეროვანია და ხშირად უგემური;
- მატერიალური დეპრივაცია – ბავშვები საუბრობენ სათამაშოების, ყოველდღიური ნივთების, ტანსაცმლის ნაკლებობაზე; მათ ხშირად რცხვენიათ სკოლაში ერთი და იმავე, ხშირად გამონაცვალი ან ძველი ტანსაცმლით სიარული; განსაკუთრებით უჭირთ ზამთრის ტანსაცმლის შექმნა; ისინი ოცნებობენ ჰქონდეთ ველოსიპედი, “აიფონიო, “აიპედო თუ მსგავსი ნივთები;
- ცუდი პირობები ხელს უშლით მეცადინეობაში, ნორმალურად ძილში, კვებასა და ა.შ; არცერთ მათგანს არ აქვს საკუთარი ოთახი, უმეტესობას არ აქვს საკუთარი საწოლი, სამეცადინო თუ სათამაშო სივრცე;
- სოციალური დეპრივაცია- ბავშვებს ფართო სამეგობრო წრე არ ჰყავთ; ნაკლებად მონაწილეობენ სხვადასხვა სოციალურ აქტივობაში, მაგალითად, დაბადების დღეებზე, ექსკურსიაზე ან ბანაკში სიარული; არც ერთ მათგანს არ გადაუხდია დაბადების დღე მეგობრების წრეში; ხშირად ფიქრობენ, რომ არაფერი აქვთ კლასელებთან საერთო; მათ მუდმივად ეშინიათ კლასელების დაცინვის მათი სიღარიბის გამო; გული სწყდებათ, როდესაც მათი კლასელები სადმე მიდიან გასართობად ან კაფეში და მათ არ ეპატიჟებიან;
- ოჯახთან ურთიერთობის გაუარესება – მშობლებთან და დამძმასთან კონფლიქტი მოსდით ნივთების გაყოფისას.

კვლევამ აჩვენა სიღარიბესთან და სოციალურ ინკლუზიასთან დაკავშირებული პრობლემები. სიღარიბე ბავშვებს უბიძგებს გამოიყენონ სხვადასხვა სტრატეგია: ისინი ცდილობენ, არ სთხოვონ მშობლებს ფული ტანსაცმლის შესაძენად ან გასართობად, ადრე-

ულ ასაკში ცდილობენ სამუშაოს დაწყებას ან ვალდებულებების განაწილებას მშობლებთან ერთად.

საკვანძო სიტყვები: სიღარიბე, სტიგმა, სიღარიბის დაძლევა

Coping with Poverty in Georgia – Children's Experience

Anastasia Kitiashvili

Associate professor, Department of Psychology, Faculty of psychology and Educational Sciences

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

anastasia.kitiashvili@tsu.ge

Studies show that poverty has a negative impact on the cognitive, emotional, and social development of the child and in general on their well-being (Ridge, 2009; Atree, 2006; Becker, 2008). Poverty is a stigmatized social position; Poverty is one of the severe social problems in Georgia. However, poverty reduction strategies do not use evidence directly collected from families who experience poverty in their everyday life. Voice of the children who live in poverty has not studied yet. Gaining insight into these issues is a significant contribution to both the research field as well as the implementation of evidence based interventions in Georgia.

The study aimed to explore effects of poverty on children's everyday life. The qualitative interviews were conducted with 20 children aged 12-17 (12 girls and 8 boys) in Tbilisi, using a specially designed tool. All children lived in families registered with the Social Service Agency who received social assistance from the government. All ethical standards accepted at international level were met.

The study demonstrated the multiple negative impacts of poverty on children's daily life:

- Economic deprivation – families had insufficient monetary resources and children were constantly worried that there would not be enough money for their needs;

- Lack of food – children often missed food, delicious sweets; Their food was cheap and easy;
- Material deprivation – children lacked toys, daily things, clothes; They often go to school in the same clothes, that is mostly discharged or old; Especially difficult was for them to buy winter clothes; They dreamt to have bikes, "Iphone", "Ipad" or similar items;
- Poor quality housing – that children had difficulties in sleeping, studying or playing at home; none of them had their own room or private space for playing of study.
- Social deprivation – Children did not have large social networks; they were not involved in various social activities, such as birthdays or excursions or camps due to the costs of attending social events; None of them hosted social occasions within their own homes; They often think that they are excluded from their classmates; They are constantly afraid of mocking because of their poverty; They feel sad when their classmates go for fun or a cafe and they are not invited;
- Tensions with families- conflict sometimes arose with parents and family members due to a shortage of resources.

The research identified a wide range of issues related to poverty and social exclusion. Many of the interviewed children employed coping strategies such as restricting financial demands for example, not telling parents about clothes or social events, taking jobs so they could contribute financially to their families or share duties with parents.

Keywords: *Poverty, Poverty Reduction, Stigma*

ორაზროვანი დანაკარგი, გლოვა, და მნიშვნელობის შექმნა

მარინე ჩიტაშვილი

პროფესორი, ფსიქოლოგიის დეპარტამენტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

marine.chitashvili@tsu.ge

გლოვა დანაკარგის [სიკვდილის] თანმხლები პროცესია. გლოვის ნორმალურ დასრულებად ითვლება დანაკარგის აღიარება და მიღება. ე. კუბლერ-როსის გლოვის ხუთსაფეხურიანი მოდელი [1969], როგორც ნორმალურად დასრულებული ტრავმის გამოგლოვების აუცილებელი სტადიები, არ დასტურდება ყველა ტიპის დანაკარგისთვის. კვლევები აჩვენებს, რომ დანაკარგის გამოგლოვა დამოკიდებულია მიჯაჭვულობის ტიპსა და ხარისხზე [ჯ. ბოულბი, 1961, 1981], დაძლევის ფორმებზე [მ.შტრობე და ჰ. შუტი, 1995, 1999], დანაკარგის ტიპზე [ორაზროვანი დანაკარგი, პ.ბოსი, 2006]. გლოვის დასრულება, როგორც აუცილებელი მდგომარეობა, მიჩნეულია ფსიქოლოგიური კარგად ყოფნისა და ნორმალური ფუნქციონირების წინაპირობად. ორაზროვანი დანაკარგის შემთხვევაში დასტურდება, რომ გლოვის დასრულება რეალურად არ ხდება, მაგრამ დაუსრულებელი გლოვის მდგომარეობა არ ახდენს გავლენას ადამიანის ნორმალურ ფუნქციონირებაზე, თუ დანაკარგი ახალ მნიშვნელობას შეიძენს და ინტეგრირდება ინდივიდის ღირებულებით სისტემაში [კ.პარკი და ი. გუტიერესი, 2012]. მნიშვნელობის მიცემა კონკრეტული მოვლენისათვის, რომელიც თავსებადია პიროვნების მიერ შექმნილ საკუთარ მე კონსტრუქტთან, წარმოადგენს ცენტრალურ დილემას ორაზროვანი დანაკარგის შემთხვევაში. კერძოდ, ნეგატიური მნიშვნელობის ქონა უნდა ტრანსფორმირდეს ისეთ პოზიტიურ მნიშვნელოვნებად, რომელიც ერთდროულად აღიარებს დანაკარგს და მისგან განთავისუფლების

შეუძლებლობას და, მეორე მხრივ, ათავსებს მას საკუთარ სასიცოცხლო ველში. სხვა სიტყვებით, ნეგატიური მნიშვნელობის მქონე გამოცდილება უნდა ინტეგრირდეს ადამიანის გლობალურ მნიშვნელობაში საკუთარი თავისა და ქმედებების შესახებ. პ.ვონგი [2012] მიუთითებს, რომ სიკვდილის ფენომენისთვის მნიშვნელობის მიცემა არ არის მხოლოდ რაციონალიზაცია ან კოგნიტური რესტრუქტურისა, ეს პროცესი მოითხოვს ღირებულებების, რწმენებისა და სიცოცხლის მიზნების რეალურ ტრანსფორმაციას. მნიშვნელობის შექმნა დამოკიდებულია მიჯაჭვულობის ტიპზე [მ. გრასი და რ. ფიფუში, 2016]. პოზიტიური მნიშვნელობის შექმნისა და ზრდის პრედიქტორად მიიჩნევა ნარატივში ახალი მნიშვნელობის თავიდან „აღმოჩენა“ და დახმარების ძიების სურვილი. ორაზროვანი დანაკარგის შემთხვევაში ღირებულებითი ტრანსფორმაცია რთულდება დაკარგული ობიექტის ზუსტად ვერ იდენტიფიცირების გამო [რითაც ის ნაწილობრივ ემსგავსება ფროიდის მიერ აღწერილ მელანქოლიის ფენომენს [ზ. ფროიდი, 1917] და უფრო ხანგრძლივად მიმდინარე პროცესად იქცევა, ვიდრე სტანდარტული გლოვაა. ორაზროვანი დანაკარგისას არ სრულდება/გართულებულია გლოვის ქცევისთვის აუცილებელი სოციალურ-კულტურულად მიღებული ქცევითი რეპერტუარიც [დანაკარგის გაურკვეველი სტატუსი და ობიექტის არარსებობა]. ორაზროვანი დანაკარგის შემთხვევაში ახალი მნიშვნელობის შექმნა არა მარტო პიროვნულ დონეზე ხორციელდება, არამედ მოიცავს სოციალური და კულტურული განზომილების გადაფასების პროცესს და თვისებრივად სხვა ტიპის ღირებულებითი სისტემის ინტერნალიზაციით სრულდება. ორაზროვანი დანაკარგის დროს, ერთი მხრივ, ხდება დანაკარგის ანმყოფი სიმბოლური დაბრუნება და, მეორე მხრივ, ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბება საკუთარ თავთან და გარემოსთან. ორაზროვანი დანაკარგის შემთხვევაში გლოვის დასრულების პროცესი იცვლება მუდმივი გლოვით, რომელიც არ არის გამოხატული [პერფორმირებული] გლოვის ფორმით [ახალი მნიშვნელობა], არამედ ინტერნალიზებულია და უცვლელია დროში.

საკვანძო სიტყვები: ორაზროვანი დანაკარგი, გლოვა, მნიშვნე-
ლობის შექმნა

Ambiguous Loss, Grief and Meaning Making

Marine Chitashvili

*Professor, Department of Psychology, Faculty of psychology and Educational
Sciences*

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

marine.chitashvili@tsu.ge

Grief accompanies loss and death. Normal grief ends with acceptance of loss. E. Kubler –Ross [1969] five-stage grief model, as a standard model of normal grief, is not evident for all forms of loss. The research shows that grief is dependent on type and intensity of attachment [J. Bowlby, 1961, 1981], forms of coping [M. Stroebe and H. Schut, 1995, 1999], type of loss [ambiguous loss, P. Boss, 2006]. Ending the grief is considered as inevitable condition that ensures the precondition of psychological well-being and individual performance. In case of ambiguous loss the grief has continuous character without closure, but unclosed grief does not affect the normal functioning in case the loss has gained a new meaning and is integrated in an individual personal value system [C. Park and J Gutierrez, 2012]. Meaning-making to a concrete event that is complementary to the constructed system of personality is the central conflict in ambiguous loss. The negative meaning should be transformed in a positive meaning that on the one hand, accepts the loss and inevitability of escaping from it and at the same time incorporates it in one’s own life-scheme. In other words negative meaning should be incorporated in global meaning schemes about oneself. P. Wong [2012] emphasizes that meaning-making to death is not rationalization or cognitive reframing, but demands transformation of values, beliefs and life-goals. Meaning-making is dependent on type of attachment [M. Graci and R. Fivush, 2016]. The predictors of positive

meaning-making and growth are narrative exploration and support-seeking. Value transformation process becomes complicated for ambiguous loss due to non-clarity of loss object [this is similar to how Freud describes melancholy, S. Freud, 1917] and transcendent in time longer a normal grief. In ambiguous loss the social cultural rituals are not performed due to the absence of lost object and non-clarity of the matter. Meaning-making for ambiguous loss is going on personal level, as well incorporates re-evaluation of social and cultural dimension of self-existence and is finalized with internalization of totally different value system than the existed one. It is another complicated construct that incorporates symbolic presence of lost object and developing a new approach to oneself and others. In ambiguous loss resolved grief [end of the process] is replaced by the endless grief mode [state of mind] that is not performed in everyday life in form of grief [new meaning], and is internalized and infinite.

Keywords: *Ambiguous loss, Grief, Meaning Making*

სტიგმა, სექსუალური იდენტობა და ცხოვრების ისტორია

ლილი ხეჩუაშვილი

ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დეპარტამენტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
lili.khechuashvili@tsu.ge

მარიამ გოგიჩაიშვილი

მაგისტრი, ფსიქოლოგიის დეპარტამენტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
marigogicha@gmail.com

მაია მესტირიშვილი

ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დეპარტამენტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
maia.mestvirishvili@tsu.ge

კვლევის მიზანია 16 არაჰეტეროსექსუალი ადამიანის ცხოვრების ისტორიაში ნარატივის მაკომპენსირებელი და კონტამინაციის თანამიმდევრობისა და სტიგმის ურთიერთკავშირის დადგენა, აგრეთვე, ნარატივებში ძირითადი თემების გამოვლენა. მონაცემები შეგროვდა მაკ ადამსის ცხოვრების ისტორიის ინტერვიუს გამოყენებით. კვლევა შერეული მეთოდოლოგიით განხორციელდა. კერძოდ, მისი თვისებრივი ნაწილი მოიცავდა ნარატივების თემატურ და სტრუქტურულ ანალიზს, ხოლო რაოდენობრივი ანალიზისთვის თითოეული ინტერვიუს ტრანსკრიპტში გადაკოდირდა და დამუშავდა ისეთი სამიზნე ცვლადები, როგორცაა სტიგმა, მი-

სი დაძლევის სტრატეგიები, მაკომპენსირებელი და კონტამინაციის თანამიმდევრობა. რაოდენობრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ ნარატივების მხოლოდ მეხუთედს გააჩნდა მაკომპენსირებელი თანამიმდევრობა, რომელთა უმეტესობა ზრდა-განვითარების და გაუმჯობესების თემებით იყო გაჯერებული. კონტამინაციის თანამიმდევრობა ნარატივების 15 %-ში გამოიკვეთა და ამ მონათხრობებში ძირითად თემას დანაკარგი წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ნარატივების თვისებრივ ანალიზში მკვეთრად გამოიკვეთა მიმართებები მოგონების ტიპს, ნარატივის სტრუქტურასა და სტიგმის დაძლევას შორის, რაოდენობრივმა ანალიზმა არ გამოავლინა ნარატივის სტრუქტურასა და სტიგმის დაძლევას შორის სანდო კავშირი. თემატურმა ანალიზმა გამოავლინა ისეთი ძირითადი თემები, როგორიცაა დამოკიდებულება რელიგიის მიმართ, ოჯახური ურთიერთობები, მენტორის ყოლის სურვილი, სხვებზე ზრუნვა და უფლებების დაცვისთვის მუშაობა/ბრძოლა. ამასთან, ქართველი გეი და ლესბოსელი ადამიანები თავიანთი იდენტობის მარკერებით ამერიკელ არაჰეტეროსექსუალთა რომელიმე ერთ თაობას კი არ შეესაბამებოდნენ, არამედ მოიცავენ ამერიკულ კულტურაში გამოდიფერენცირებული სამივე თაობის მახასიათებლებს.

საკვანძო სიტყვები: სტიგმა, სექსუალური იდენტობა, ცხოვრების ისტორია

Stigma, Sexual Identity and Life Story

Lili Khechuashvili

Associate Professor, Department of Psychology, Faculty of psychology and Educational Sciences

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

lili.khechuashvili@tsu.ge

Mariam Gogichaishvili

Master, Department of Psychology, Faculty of psychology and Educational Sciences

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

marigogicha@gmail.com

Maia Mestvirishvili

Associate Professor, Department of Psychology, Faculty of psychology and Educational Sciences

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

maia.mestvirishvili@tsu.ge

The mixed method study aims at revealing the interrelation of stigma representation and structure of life story narratives of 16 same sex desire individuals, and tracing the major themes in narration. The McAdams life story interview protocol with some modifications was used as data collection method. Qualitative data analysis consists of thematic and structural analysis of 240 narratives. For quantitative data analysis all narratives were coded for stigma, stigma coping strategies and moderators, redemption and contamination sequence. Quantitative analysis showed that only one fifth of narratives followed redemption structure, whilst most of them contained stories of growth, development and enhancement. As for contamination sequence, only 15 percent of all narratives implied contamination structure, which were stories of loss. Quantitative analysis didn't confirm assumed interrelation of memory type, narrative structure and stigma coping, although qualitative data clearly stated the opposite. Qualitative analysis brought on surface the major thematic lines, such as attitudes towards religion and faith, caring for others and working/struggling for human rights. Besides, Georgian gay and lesbian individuals' identity markers can be described as the mixture of markers attributed to three American generations of same sex desire individuals, rather than corresponding to one particular age group.

Keywords: *Stigma, Sexual Identity, Life Story*

განათლების სოციალური ფუნქცია

ქეთევან ჭკუასელი

პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფსიქოლო-
გიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

ketevan.ckuaseli@tsu.ge

განათლება სოციალური ფენომენია. მისი, როგორც პროცესის სტიქიური აღმოცენება, არსობრივად ადამიანის გაჩენას ემთხვევა, ხოლო სახელმწიფოებრივი და მიზანმიმართული ხასიათი განათლე-
ბისა და სწავლების პროცესმა ანტიკურ ცივილიზაციაში შეიძინა.

განათლების სახელმწიფოებრივმა ხასიათმა განაპირობა მისი, როგორც პროცესის და შედეგის სოციალური საჭიროებების, სო-
ციალური ფუნქციების განსაზღვრა, რომელიც, თავის მხრივ, სა-
ზოგადოების კულტურის დონითაა განპირობებული. „სოციალური
ფუნქცია ის როლია, რომელსაც სოციალური ინსტიტუტი ასრუ-
ლებს საზოგადოების დაკვეთებთან მიმართებით“.

განათლების სოციალური ფუნქციები დროისა და ეპოქის შე-
საბამისად იცვლება. ამ პროცესში განათლების უცვლელ, ფენომე-
ნალურ ფუნქციას, ზოგადად, ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვ-
რებისათვის მომზადება წარმოადგენს, რომელიც პიროვნების
ჰარმონიული განვითარების თეორიიდან გამომდინარე, ადამიანის
ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ განვითარებას გუ-
ლისხმობს. ეს ის უნარებია, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის
სოციუმში არსებობის წესს და ამ სოციუმის განვითარების შესაძ-
ლებლობებს.

მაშასადამე, განათლების სისტემამ, როგორც სოციალურმა
ინსტიტუტმა, საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით, მოქ-
მედების მიზანი და პროცესი საზოგადოების დაკვეთების შესაბა-
მისად უნდა ააგოს.

თანამედროვე საგანმანათლებლო და ყოფით სივრცეში აქტუ-
ალური გახდა სწავლის შედეგის ცნება, რომელიც, ფაქტობრივად

ასახავს იმ კომპეტენციების ფლობას, რომელიც აუცილებელია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, განათლების სოციალური ფუნქცია წარმოადგენს პიროვნების მომზადებას იმ სწავლის შედეგების შესატყვისად, რომელიც აუცილებელია თანამედროვე საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის.

საქართველოს განათლების სიტემის სოციალური ფუნქციები /სწავლის შედეგები/ ასახულია ისეთ სახელმწიფოებრივ დოკუმენტებში, როგორებიცაა საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ზოგადი განათლები ეროვნული მიზნები, საქართველოს კანონები ზოგადი და უმაღლესი განათლების შესახებ.

თანამედროვე ადამიანი ცხოვრობს საერთაშორისო სივრცეში. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ დააპატარავა მსოფლიო და ადამიანის ყოფის ვალდებულებად გახადა საერთაშორისო ნორმების დაცვა, სხვა კულტურებთან თანაარსებობა და ეროვნულ ღირებულებებთან ერთად, საერთაშორისო ღირებულებების აღიარება. შესაბამისად, გლობალურად, განათლების სოციალური ფუნქციების პრიორიტეტულ მიმართულებებად დღეს, თანამედროვე ადამიანებში ზოგადკაცობრიული მოთხოვნებისა და ნორმების ფორმირება და დაცვა, დემოკრატიულ კულტურაში აუცილებელი კომპეტენციების ფორმირება გახდა.

საკვანძო სიტყვები: განათლება, სოციალური ფუნქცია, სწავლის შედეგი

Social function of Education

Ketevan Chkuaseli

Associate Professor, Department of Educational Sciences, Faculty of psychology and Educational Sciences

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

ketevan.ckuaseli@tsu.ge

Education is social phenomena. Its apparition is matched to human derivation, but governmental and aimed temper, education and teaching processes has been grown in antique civilization period.

Educations governmental temper conditioned its social needs as a process and as an result, identity of social functions, which in its turn are linked to societies cultural level. "Social function is a role, which is implemented by the social institution in relation to the orders of the society".

Social functions of education are changing in accordance to time and epoch. In this process the unchanging, phenomenal function of education in general is to prepare human for life, which based on a person's harmonious development theory means and is based on physical, mental, moral and aesthetic development. This is the ability/skills to determine the rule of existence in human societies and opportunity of community development.

Therefore, the educational system, as a social institution, form the community develop perspective, the aim and process of action should be constructed in accordance with the orders of the public.

The concept of learning outcomes has become urgent in modern education and life space, which in fact reflects the ownership of the competencies required to meet the requirements of the modern labor market. Accordingly, the social function of education is to prepare a person to meet the learning outcomes that are necessary for the existence and development of the modern society.

The social functions / learning outcomes / of the education system of Georgia are reflected in the state documents such as the Constitution of Georgia, General Education of Georgia, National Goals, Georgian Laws on General and Higher Education.

Modern people live in the international space. The development of information technology has made the world and the commitment of human beings to adhere to international norms, coexistence with other cultures and national values, recognizing international values. Therefore, globally, as the priority directions of social functions of education today, became formation and protection of general demands and norms in contemporary human beings is the formation of competences necessary for democratic culture.

Keywords: Education, Social Function, Learning outcomes

**სკოლაში ბიოლოგიის სწავლების ზოგიერთი პრობლემური
საკითხის კვლევისათვის
(X-XI კლასების მაგალითზე)**

ეფემია ხარაძე

*ასისტენტ-პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი,
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
ephemia.kharadze@tsu.ge*

თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროცესის მზარდი ტემპი ბიოლოგიურ განათლებას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აყენებს. ის ხელს უნდა უწყობდეს მოზარდში ცხოვრების ჯანმრთელი წესის, გარემოსდაცვითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ამასთან, ბიოლოგიის მთლიანი სასკოლო კურსი, როგორც არც ერთი სხვა დისციპლინა, საშუალებას იძლევა ცოცხალ ორგანიზმთა შორის კავშირის, ბიოლოგიური კანონზომიერებების შესახებ ცოდნის შემეცნებასა და გააზრებას. საბოლოოდ კი, განაპირობებს მოსწავლეში პიროვნული იდეალებისა და შეხედულებების, ინტერესებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია სკოლის საშუალო საფეხურის X-XI კლასებში ბიოლოგიის სწავლების ზოგიერთი პრობლემური საკითხი, იმ თემების სწავლებისას, რაც დაკავშირებულია კონკრეტულად უჯრედული ბიოლოგიის საფუძვლების გაცნობასთან. უჯრედის სტრუქტურული და მორფოლოგიური აგებულების, მისი სასიცოცხლო ციკლის, უჯრედის მაკრომოლეკულების შედგენილობისა და განახლების, მეიოზის, ორგანიზმის ემბრიონული და პოსტემბრიონული განვითარების და სხვ. სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული საკითხები განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა და მათი შემეცნება მოსწავლისათვის არ არის იოლი.

ვინაიდან განათლების შინაარსი, საგანმანათლებლო პროცესის მეთოდები და ტექნოლოგიები მუდმივი განახლებისა და სრულყოფის ობიექტს უნდა წარმოადგენდეს, ასეთ შემთხვევაში დღის წესრიგში დგება სწავლების კლასიკური დიდაქტიკური მეთოდების პარალელურად გამოყენებული იქნას ისეთი ალტერნატიული საშუალებები, როგორცაა ინტერაქცია, ინფორმაციული ტექნოლოგიები. 3D ტექნოლოგიების, კომპიუტერული ვიდეოგოლებისა და ანიმაციების გამოყენება უჯრედული ბიოლოგიის სწავლებისას ეფექტიანია და ხელს უწყობს მოსწავლის მიერ სასწავლო მასალის უკეთ გაგებას, „დანახვას“, იმ სტრუქტურების აგებულებისა და მოქმედების მექანიზმის აღქმას, რაც შეუიარაღებელი თვალის მეშვეობით შეუძლებელია. ინტერნეტ-წყაროებში მრავლადაა წარმოდგენილი ელექტრონული თვალსაჩინოებითი საშუალებები, მაგრამ საკითხის არსი მდგომარეობს იმაში, რომ არსებობს პრობლემათა სპექტრი, რომელიც აბრკოლებს მათ ფართო გამოყენებას სასკოლო სივრცეში, ბიოლოგიის გაკვეთილებზე. კერძოდ, მასალა უმეტესად უცხოურ ენაზეა გახმოვანებული, ნავიგაცია მათ მოსაძიებლად არ არის მარტივი, რაც დამაბრკოლებელი ფაქტორია მასწავლებლისათვის. სარეკომენდაციოდ, ჩვენი აზრით, ურიგო არ იქნებოდა, რომ ქართულ ინტერნეტ-სივრცეში შექმნილიყო ბლოგი, რომელშიც ჩაიდებოდა აღნიშნული მასალა თარგმნილი ქართულ ენაზე და დალაგებული თემატურად. ამასთან, ბლოგი საშუალებას მისცემდა დაინტერესებულ პირებს (პედაგოგებს, მოსწავლეებს, ბიოლოგიის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს) გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები და გაემდიდრებინათ ახალი მასალებით. ურიგო არ იქნებოდა, თუ აღნიშნული

ელექტრონული მასალის გამოყენება სავალდებულო გახდებოდა იმ თემების ახსნისას, რომლის გაგებასაც „დანახვა“ კი არ სჭირდება, არამედ „წარმოდგენა“, ბიოლოგიის სწავლების ყველა საფეხურზე.

ამ კონტექსტში, სასწავლო კომპიუტერული ტექნოლოგიების საყოველთაო დანერგვა, მათი მიზნობრივი და სისტემატური გამოყენება აუცილებელია და განაპირობებს არა მარტო ბიოლოგია-

ში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თემების უკეთ ათვისებას, არამედ ხელს შეუწყობს ფუნდამენტური ბიოლოგიური ცნებების, ფაქტების, პროცესების შესწავლის საფუძველზე, გარემოს პასიური აღქმიდან მოზარდები მის შემეცნებაზე გადავიდნენ, განუვითარდეთ ცოცხალი ბუნების შესახებ მეცნიერული ცოდნა, შეძლონ მისი კანონზომიერებების, ურთიერთკავშირების გააზრება და საბოლოოდ, სხვა დისციპლინების საფუძველზე თან ერთიანობაში, ჩამოუყალიბდეთ შესაბამისი მსოფლმხედველობა.

საკვანძო სიტყვები: ბიოლოგიური განათლება, დიდაქტიკური მეთოდები, სასწავლო კომპიუტერული ტექნოლოგიები

For studying some problematic issues in the study of biology at school (on the example of X-XI class)

Ephemia Kharadze

Assistant Professor, Department of Educational Sciences, Faculty of psychology and Educational Sciences

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

ephemia.kharadze@tsu.ge

The growing pace of modern scientific-technical processes poses significant challenges to biological education. It should promote healthy lifestyle and environmental skills. Besides, the entire school course of biology, like any other discipline, enables the knowledge and understanding of the relationship between living organisms and biological subjects. In the end, it will help to create personal ideals and attitudes, interests and values in the student.

The present work deals with some problematic issues of biology teaching in X-XI grades of secondary school level, while teaching topics that are specific to the basics of cell biology. The structural and morphological

structure of the cell, its vital cycle, composition and renewal of cell macromolecules, meiosis, embryonic and phenomenon development of the organism. The issues covered by the school program are distinguished by difficulty and they are not easy for the student.

Since the content of education, the methods and technologies of educational process should constitute an object of permanent renewal and perfection, in this case the alternative agenda is to use alternative techniques such as interaction and information technologies. The use of 3D technologies, computer videos and animations is effective in teaching cellular biology and facilitating better understanding of the learning material by the learner, to "see" the perception of the structure and mechanism of the structures that is impossible through the naked eye. Internet sources have a large number of electronic visuals, but the essence of the issue is that there is a problem range that hinders their widespread use in school space, biology lessons. In particular, the material is mostly foreign, the navigation is not easy to find, which is a obstructive factor for the teacher. In our opinion, it would not be possible to recommend a blog in the Georgian Internet space, where the material was translated into Georgian and sorted by them. Besides, the blog will allow interested people (teachers, students, specialists of different biology) to express their opinions and enhance new material. It would not have been possible if the use of the electronic material would be mandatory when explaining the topics that it does not need to "understand" but "imagine" at all levels of biology.

In this context, the study computer technology in general introduction, their targeted and systematic use of necessary and determines not only the biology of the national curriculum provided for communities to better absorption, but also promote fundamental biological concepts, facts, adolescent from the passive passion of the environment will move on to its knowledge and then on to develop the live nature of scientific knowledge, to be able to regularities, relationships and understanding of the other disciplines on the basis of the unity of the forging of the outlook.

Keywords: *Biological education, Didactic methods, Training computer technologies*

უმაღლესი სკოლის აკადემიური კულტურის შესაძლო გავლენები ხარისხის მართვის ევროპული ფონდის (EFQM) მოდელის დანერგვის პროცესზე

რუსუდან სანაძე

ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი, საქართველო
rusosanadze@gmail.com

1988 წლის 15 სექტემბერს ევროპული ბიზნესის 14 ლიდერი ორგანიზაცია შეთანხმდა ევროპული ფონდის ჩამოყალიბებაზე, რომელიც ევროპული ბიზნესის კონკურენტუნარიანობას შეუწყობდა ხელს. დღეისათვის მსოფლიო მასშტაბით ფონდის პარტნიორი 500-მდე ორგანიზაციაა, მათ შორის არიან სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, პროფესიული კოლეჯები, კერძო მენარმეები და დიდი კორპორაციები, ისეთები, როგორებიცაა: BMW, BOSCH, PHILIPS, VOLKSWAGEN, VOLVO და სხვა.

ხარისხის მართვის ევროპული ფონდის მიზანია, ხელი შეუწყოს ორგანიზაციებს, გააუმჯობესონ საკუთარი საქმიანობა EFQM მოდელის – „გზა წარმატებისაკენ“ გამოყენებით, რომელიც წარმოადგენს მართვის კომპლექსურ ჩარჩოს.

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ხარისხის უზრუნველყოფის ადმინისტრაციულ უზრუნველყოფას ავალდებულებს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ და განათლების ხარისხის განვითარების გარე უზრუნველყოფის მექანიზმები – ავტორიზაცია და აკრედიტაცია.

საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა 2016 წელს EFQM-ის შიდა ხარისხის მართვის მოდელის დანერგვის პროცესი წარმატებით გაიარა.

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გეგმავს EFQM მოდელის იმპლემენტაციას. სწორედ ამის გამო მიგვაჩნია, რომ აკადემიურ წრეებში საჭიროა დავსვათ საკითხი მოდელის შესაძლო დანერგვასთან დაკავშირებით, შესაძლო ეფექტებისა და რისკების განსჯის მიზნით.

მოხსენებაში მიმოხილულია EFQM მოდელი და წარმოდგენილია თსუ განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის საქმიანობის ანალიზი EFQM მოდელთან მიაერთებით.

საკვანძო სიტყვები: ხარისხის მართვის ევროპული ფონდის (EFQM) მოდელი, TQM – ერთიანი ხარისხის მართვა, ხარისხის მართვა, უმაღლესი სკოლა

Possible Influence of Higher School Academic Culture at the Process of Implementation of the European Foundation for Quality Management (EFQM) Model

Rusudan Sanadze

Associate Professor, Department of Educational Sciences, Faculty of psychology and Educational Sciences

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

rusosanadze@gmail.com

On 15th September 1988, 14 European Business Leaders signed a "Letter of Intent" to form a European Foundation dedicated to increasing the competitiveness of European businesses. There are about 500 EFQM partner organizations around the world, including higher education institutions, vocational colleges, private entrepreneurs and large corporations, such as BMW, BOSCH, PHILIPS, VOLKSWAGEN, VOLVO and others.

The goal of the European Foundation for Quality Management is to support organizations to improve their activities using the EFQM model – "way to excellence", which is a complex management framework.

Higher education institutions of Georgia oblige to provide quality assurance to the law on higher education and external assurance mechanisms for quality education development – authorization and accreditation.

The National Center for Educational Quality Enhancement successfully passed the EFQM internal quality management process in 2016.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University plans to implement EFQM model. For this reason we think that in academic circles it is necessary to put an issue in the possible implementation of the model, its impacts and possible risks.

The report reviews EFQM model and represents the analysis of the activities of Department of Education Sciences in relation to EFQM model.

Keywords: *European Foundation for Quality Management (EFQM) Model, Total Quality management – TQM, quality assurance, higher school*

ნიჭიერი ბავშვი და სასკოლო განათლება

ზაკარია ქიტიაშვილი

ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი, საქართველო
zakaria.Kitiashvili@tsu.ge

თანამედროვე ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ინკლუზიურ განათლებაზე. შესაბამისად, განათლების სპეციალისტების მიერ აღნიშნული სეგმენტის კვლევა მნიშვნელოვნად წაადგება ამ მიმართებით არსებული საჭიროებების გამოვლენას. საქართველოში მოქმედ განათლების მარეგულირებელ საკანონმდებლო ბაზაში მკაფიოდ არის განსაზღვრული სასკოლო სივრცეში ინკლუზიური განათლების ადგილი და, ასევე, განსაზღვრულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების სასწავლო პროცესში ჩართვის ხასიათიც, თუმცა ამ კონტექსტში ყურადღება არ მახვილდება განსაკუთრებულად ნიჭიერ მოსწავლეებზე.

მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში გაწერილი კომპეტენციების მიხედვით, პედაგოგიური საზოგადოება ვალდებულია იცნობდეს ინკლუზიური განათლების ძირითად პრინციპებს. განათლების შინაარსის ერთ-ერთ უმთავრეს დოკუმენტში, ეროვნულ სასწავლო გეგმაში, ტერმინ ინკლუზიის განსაზღვრებისას კვლავ ვერ ვხვდებით განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების შესახებ რაიმე ჩანაწერს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მასწავლებელთა კორპუსის აბსოლუტურ უმრავლესობას სახელმწიფო არ განუსაზღვრავს ამ ტიპის სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებთან სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვის თავისებურებების ცოდნას. შესაბამისად, ქართულ სასკოლო სისტემაში ნიჭიერი ბავშვების სწავლების საკითხები არ არის მკაფიოდ გააზრებული არც თეორიულ და არც პრაქტიკულ დონეზე.

მოსხენებაში წარმოდგენილი საკვლევე საკითხის გააზრებისთვის სამაგიდე კვლევის ფარგლებში შესწავლილი საერთაშორისო გამოცდილების შედეგად დიდი რაოდენობით იძებნება ნიჭიერი ბავშვების სწავლების თავისებურებებზე არსებული მნიშვნელოვანი სამეცნიერო ლიტერატურა როგორც ინკლუზიური განათლების, ისე ზოგადი დიდაქტიკის კონტექსტში.

შესაბამისად, ჩვენი მოხსენების მიზანია, დავსვათ პროფესიული საზოგადოების წინაშე ნიჭიერი ბავშვების სწავლა-სწავლების თავისებურებების საკითხი, განვსაზღვროთ ამ ტიპის მოსწავლეების ადგილი, ზოგადად, საგანმანათლებლო სივრცეში და შევიმუშავოთ ის ძირითადი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება პედაგოგიურ საზოგადოებას გაააზრებინებს განსაკუთრებულად ნიჭიერი ბავშვების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებს.

საკვანძო სიტყვები: ნიჭი, მოსწავლე, ინკლუზია

Talented Children and School Education

Zakaria Qitiashvili

Associate Professor, Department of Educational Sciences, Faculty of psychology and Educational Sciences

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

zakaria.Kitiashvili@tsu.ge

Contemporary education system of Georgia places special emphasis on inclusive teaching. Accordingly, research of the mentioned segment, conducted by education specialists, shall significantly assist in the identification of problems in this field. Current legal basis that regulates education in Georgia explicitly defines the place of inclusive teaching in school education. The document also includes the methods developed for the integration of children with special needs in the teaching process. However, talented children are not mentioned in the context.

As according to the teacher's competences stipulated in the Professional Standard for Teachers, pedagogical community is required to be aware of the key principles of inclusive teaching. One of the most important documents of education content, the National Education Plan, defines the term "inclusive teaching" without a single reference to talented children. Judging from the above-said, the state fails to provide the community of teachers with the specific knowledge for conducting education process (teaching and learning) with the children of such special need. Accordingly, Georgian education system does not ensure either theoretical or practical understanding of issues concerning the education for especially talented children.

The desk research, which was conducted to gain the profound understanding of the research issue, involved the study of international expertise. The latter consisted of significant number of scholarly papers concerning the specific nature of educating talented children in terms of both, inclusive teaching and general didactics.

Accordingly, the aim of this paper is to present the professional community with the issue of specific form of education for talented children, identify the place of such pupils in the education field, and develop those core recommendations, the consideration of which shall assist the teachers in the understanding of specific education needs for especially talented children.

Keywords: *Talent, Pupil, Inclusion*

ციფრული ევოლუცია და საუნივერსიტეტო განათლების მომავალი

თამარ გეგეშიძე

დოქტორანტი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფსიქო-
ლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

t.gegeshi@gmail.com

რეალურად დღეს ჩვენ ვგდაგართ განათლებაში ფუნდამენტური ტრანსფორმაციის წინაშე, რაც გამოწვეულია ციფრული ევოლუციით, რომელიც მიმდინარეობს ადამიანური ცხოვრების ყველა სფეროში. ცხადია ასეთ ევოლუცია გამოწვეულია ტექნოლოგიების განვითარებით, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კაცობრიობამ დიდი ნახტომი გააკეთა ამ თვალსაზრისით და პირველი კომპიუტერების გამოჩენამ დროთა განმავლობაში შეცვალა არაა მხოლოდ ადამიანების ყოველდღიურობა, არამედ განათლების სისტემაც და ცოდნის სტატუსიც. კვანტურმა ფიზიკამ და დროისა და სივრცის კვანტურმა გაგებამ რეალობის აღქმა შეცვალა, სწორედ ამის დამსახურებაა ე.წ ვირტუალური რეალობების გაჩენა და ცოდნის ვირტუალური სივრცის შექმნაც. სტატია ეხება საუნივერსიტეტო განათლებაში ციფრული ევოლუციის გავლენას, შეძლებისდაგვარად ვცდილობთ ახალი ცნებების შემოტანას, რომელიც უკეთ მოგვცემს თანამედროვე უნივერსიტეტების ვითარების გაგებას და შემეცნებას, რაღაც თვალსაზირით პროგნოზების გაკეთებას.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ევოლუცია, კვანტური რეალობა, საუნივერსიტეტო განათლება, ცოდნის სტატუსი, ვირტუალური უნივერსიტეტები

Digital Evolution and future of The University Education

Tamar Gegeshidze

PhD Student, Department of Educational Sciences, Faculty of psychology and Educational Sciences

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

t.gegeshi@gmail.com

We are face to face fundamental transformation of human life. This transformation has provoked by technological jump. This jump redesigned society, especially after World War II and an appearance of first computers changed not only everyday life of humanity, but also system of education and status of knowledge. Quantum physics and quantum understanding of space and time gave another perception of the reality. Therefore, it has appeared virtual reality and it has created virtual space of knowledge. This article is about digital evolution in university education and we try to introduce new notions which help us to understand better the conditions of modern universities and to make a forecast is some way.

Keywords: *Digital evolution, Quantum reality, University Education, Status of Knowledge, Virtual Universities*

პედაგოგიკის თეორიაში სწავლის შედეგების დისკურსი

მარინე გოგნელაშვილი

დოქტორანტი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

marine.gognelashvili@tsu.ge

სწავლის შედეგები საერთაშორისო და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოების საკვანძო ელემენტია, ამასთანავე, განათლების აღიარების საშუალებაა, რადგან კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის, განვითარებისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საფუძველს წარმოადგენს.

ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ეს ტერმინი ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე პედაგოგიური პროცესის ორგანიზაციაში და არაერთხელ გამხდარა განხილვის საგანი. მიუხედავად ამისა, საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში სწავლის შედეგების განსაზღვრის, მათი მიღწევისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვის დადგენა და სასწავლო პროცესში სტუდენტის მიღწევების შეფასება სირთულეს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ანგლო-ამერიკულ საგანმანათლებლო სივრცეში გაჩნდა და შემდეგ გავრცელდა საერთაშორისო მასშტაბით, პროფესიულ წრეებში ტერმინის შინაარსისა და ფუნქციის განმარტების საკითხი დღესაც აქტუალურია და ფართო მასშტაბით მიმდინარეობს სამეცნიერო პოლემიკა.

ამის გათვალისწინებით, საჭიროდ მივიჩნით სწავლის შედეგების კონცეფტის თემატიკაზე უახლეს სამეცნიერო პუბლიკაცი-

ებში ასახული ინტერპრეტაციების ანალიზის საფუძველზე პრობლემური ასპექტების გამოვლენა და კომპლექსური განხილვა.

თეორიული კვლევის ანგარიშის გაცნობის შედეგად, მსმენელი უკეთესად გააცნობიერებს სწავლის შედეგების შესახებ პედაგოგის თეორიაში მიმდინარე დისკურსს, რაც შემდგომში დაეხმარება პედაგოგიური პრაქტიკის ხარისხის განვითარების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: სწავლის შედეგები, განათლების ხარისხის განვითარება

Discourse of Learning Outcomes in Pedagogic Theory

Marine Gognelashvili

PhD Student, Department of Educational Sciences, Faculty of psychology and Educational Sciences

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

marine.gognelashvili@tsu.ge

Learning Outcomes, which are key elements of the international and national qualification frameworks, also serve as the means of education recognition as far as they are a significant component of the European System of Credit Transfer and Accumulation. Accordingly, they form the basis for the creation and enhancement of education programs and ensure the quality of education.

The term has been widely used in Georgian education for the last two decades for the management of pedagogical processes at the institutions of various educational stages, and it has been a subject frequent discussion. However, while conducting the educational programs, it is still difficult to define the Learning Outcomes, determine the appropriate study load, which is necessary for achievement of the desired results, and assess the achievements of students in the learning process.

Although the term appeared in the Anglo-American education in the second half of the 20th century and later found international usage, the issue of the content and function of the term remains a problem and a matter of scholarly debate among the professionals.

Considering the above-mentioned, this article intends to identify and discuss some problematic aspects of the concept of Learning Outcomes, based on the analysis of interpretations that are provided in the latest scholarly publications.

The report of the theoretical research shall provide the audience with a more profound understanding of the ongoing discourse in the theory of pedagogy regarding Learning Outcomes. This will further assist them in the enhancement of pedagogical practice quality.

Keywords: *Learning Outcomes, Education Quality Enhancement*

„ზე“ და „ში“ ასახვების სახელდებისა და სწავლების პროპედევტიკისათვის

დავით წამალაშვილი

დოქტორანტი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

tsamaladaviti@gmail.com

სასკოლო მათემატიკის კურსის აგებისას, დროთა განმავლობაში, პრინციპები და მიდგომები იცვლებოდა. თანამედროვე მათემატიკის საბაზისო ცნებად „სიმრავლეა“ მიჩნეული. შესაბამისად, მათემატიკის (სასკოლო თუ საუნივერსიტეტო) კურსის აგებისას სიმრავლური მიდგომაა წამყვანი და არსებითი. ეს მიდგომა საშუალებას გვაძლევს მათემატიკის ერთიანობის აღქმისა ყველა კონტექსტში – შიდა საგნობრივ ჭრილში, სასკოლო და საუნივერსიტეტო მათემატიკის ჭრილში, და, აქედან გამომდინარე, საგანთაშორისი კავშირების დამყარებისას, აღნიშნული მიდგომა, ფართო არეალს გვაძლევს სამოქმედოდ.

მათემატიკის უძირითადესი ცნებაა „ფუნქცია“, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული „სიმრავლის“ ცნებასთან და ხერხემალს წარმოადგენს მათემატიკის სასკოლო თუ საუნივერსიტეტო კურსში. სასკოლო ლიტერატურაში „ფუნქცია“ და „ასახვა“ სინონიმებადაა მიჩნეული. მიუხედავად იმისა, რომ ასახვის კერძო სახეების – „ზე“ და „ში“ ასახვების საფუძვლიანი შესწავლა უმაღლესი მათემატიკის საგანს წარმოადგენს, სკოლის საშუალო საფეხურზე მინიმუმ ხდება აღნიშნული საკითხის განხილვა და სახელდების პრობლემებში გარკვევა, აღარაფერი რომ არ ვთქვათ, ისეთ „ზებურბაკისტულ“ ცნებებზე, როგორებიცაა – „ინექცია“, „სურექცია“ და „ბიექცია“.

აღნიშნული საკითხი პრობლემურია, არამარტო შინაარსობრივად, არამედ სახელდებითაც. ამ პრობლემის მოგვარების ყველაზე მარტივ ხერხს წარმოადგენს პროპედევტიკა შედარებით დაბალ კლასებში. კერძოდ, VII კლასიდან, მას შემდეგ, რაც „სიმრავლე“ მოსწავლეთათვის „ახლობელი“ ცნება გახდება და ფუნქციის პროპედევტიკა

ნინა პლანზე გამოდის, შესაძლებელია, საკითხში ძალიან მარტივად გარკვევის, მოსწავლეთათვის საინტერესო „სიმრავლეებით“ – მაგ. კონკრეტული საზოგადო მოღვაწეები და მეორე სიმრავლეში პოეტები და მწერლები და ა.შ. რაც საშუალებას მოგვცემს:

1. სიმრავლის ცნების უკეთ გააზრების;
2. სიმრავლეებს შორის კავშირის დამყარების;
3. საგანთაშორისი კავშირების დამყარების;
4. ფუნქციის (ასახვის) ცნების პროპედევტიკის;
5. და, რაც მთავარია, ოთხი სხვადასხვა სიტუაციის ერთმანეთისაგან გარჩევის და პროპედევტიკის, როგორებიცაა:
 - ერთი სიმრავლის მეორეზე ასახვის;
 - ერთი სიმრავლის მეორეში ასახვის;
 - ერთი სიმრავლიდან მეორეზე ასახვის;
 - ერთი სიმრავლიდან მეორეში ასახვის.

აღნიშნული მიდგომა მოსწავლეებს განსაზღვრის არისა და მნიშვნელობათა სიმრავლის ცნებების პროპედევტიკისათვისაც გამოადგებათ, ასევე, სიტყვების მნიშვნელობების გარკვევასა და „პატარა ცვლილებების“ არსზე დააფიქრებთ. შესაბამისად, შესაძლებელია, სახელდების პრობლემის არსში წვდომის საკითხი, ასაკის შესაბამისი წრილში, მცირედით გადანყვეტილად ჩაითვალოს.

საკვანძო სიტყვები: „ზე“ ასახვა, „ში“ ასახვა, ფუნქცია, სახელდება, პროპედევტიკა

Instruction of “on”, and “in” reflection, naming and propaedeutic

Davit Tsamalashvili

PhD Student, Department of Educational Sciences, Faculty of psychology and Educational Sciences

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

tsamaladaviti@gmail.com

While building the school math course ,during the time ,the principles and approach were changing. “abundance” is considered to be modern mathematics basic concept. Accordingly, during building school or university math

course, the set basis approach is essential. This approach allows us to perceive the unity of mathematics in all contexts, in the inner-subject context, in school and university mathematics context and therefore, during making connections among subjects, this approach gives us wide scope for acting.

The fundamental concept of mathematics is “function”, which is directly related to the concept of “abundance” and represents the backbone of the school or university mathematics course. In school literature the “function” and “reflection” are considered, as synonyms. Despite the fact, that studying basically the types of reflection, such as “in” and “on”, represents the theme of higher mathematics, this question is still being considered, as well as understanding of naming problems, not to mention “supperBurbacist” concepts, such as “injection”, “surjection” and “bijection”

This issue is problematic, not only in content, but also in naming. To solve this problem, the most simple method is preparations in lower grades, in particular – from 7th grade . After “abundance” becomes “relative” concept for students and function preparation moves in foreground, the issue will be able to be cleared up easily with “multiplicity”, which is interesting for students , for example _ specific public figures, in the second abundance – poets, writers, etc. which enables us to :

1. Understanding the abundance of concept;
2. Make connection among the abundances;
3. Make connection between subjects;
4. Prepare the function concept;
5. And what is more, to discern four different situations from each other, which is the most important and propaedeutics such as :
 - to reflect multiplicity **on** the second one
 - to reflect multiplicity **in** the second one
 - to reflect **from** multiplicity **on** the second one
 - To reflect **from** multiplicity **in** the second one

above mentioned approach will even be useful to students for propiedeucs of determining area and notions of the set of values. This will also make them think about clarification of word meanings and the essence of „small changes”. Correspondingly, the issue of access to naming problem essence might be slightly resolved in the appropriate age.

Keywords: “on” – *reflect*, “in”- *reflect*, *abundance*, *function*, *naming*, *propaedeutic*.

უსინათლოთა ინკლუზიის პრობლემები პროფესიულ განათლებაში

ზაზა ადანაია

*დოქტორანტი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფსიქო-
ლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო*

adanaiazaza@yahoo.com

სტატია ეხება პროფესიულ განათლებაში უსინათლოთა ინკლუზიის საკითხს. მოკლედ განხილულია ამ მხრივ ზოგადად და საკუთრივ საქართველოში ამჟამად არსებული ვითარება. აღნიშნულია, რომ ქვეყანაში უსინათლოებს უკვე აქვთ პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა, მაგრამ არის პრობლემები, რომელთა მოგვარებაც აუცილებელია განვითარების ტემპის შენარჩუნებისათვის. გამოთქმულია მოსაზრება, რომ არსებობენ დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლიან პროფესიულ განათლებაში უსინათლოების ინკლუზიას და ამიტომ, პრობლემატურია უსინათლო სტუდენტების სრულფასოვანი მონაწილეობა პროფესიული სწავლა-სწავლების პროცესში. გამოკვეთილია შემდეგი ძირითადი პრობლემა: არადაამაკმაყოფილებელია უსინათლოთა პრეპროფესიული მომზადების ხარისხი. სტატის მიზანია უსინათლოთა პრეპროფესიული მომზადების არადაამაკმაყოფილებელი ხარისხის გავლენის საკითხის კვლევა ამ კატეგორიის პირთა პროფესიულ განათლებაზე. ამოცანას წარმოადგენს უსინათლოთა პროფესიული განათლების ერთ ცალკეალებულ სეგმენტში, პროფესიული განათლების უსინათლო აპლიკანტების მაგალითზე, არსებული ვითარების შესწავლა. ამისათვის გამოყენებულია რეალური სიტუაცია. ჩატარდა კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო პროფესიული განათლების სამმა უსინათლო აპლიკანტმა და პროფესიული განათლების სამმა ექსპერტმა. მათ მიერ მოწოდებული

ინფორმაციის საფუძველზე მოხდა, პროფესიულ განათლებაში, უსინათლოთა ინკლუზიის შემაფერხებელი პრობლემების იდენტიფიცირება.

სტატიაში გაანალიზებულია არსებული სიტუაცია, მოცემულია სათანადო დასკვნები და გამოვლენილი პრობლემების მოგვარების მიზნით, წარმოდგენილია შემდეგი რეკომენდაცია: საჭიროა უსინათლოთა პროფესიული განათლების დაფინანსების გაზრდა და უსინათლოთა პრეპროფესიული მომზადების ორგანიზება.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზია, უსინათლო, პროფესიული განათლება

Problems of blind inclusion in vocational education

Zaza Adanaia

PhD Student, Department of Educational Sciences, Faculty of psychology and Educational Sciences

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

adanaiazaza@yahoo.com

The article deals with the issue of inclusion of blind persons in vocational education. The current situation in general and in Georgia is briefly discussed in this regard. It is noted that blinds in the country already have the opportunity to get vocational education, but there are problems that need to be solved to maintain the development rate. There is a suggestion that there are obstacles that prevent blind inclusion in vocational education, and therefore it is problematic for the full participation of blind students in the professional study-teaching process. The following main problem is outlined:

Quality of Preprofessional Preparation for Blinds is unsatisfactory. The goal of the article is to study the influence of non-satisfactory quality of the Preprofessional Preparation of Blinds on Vocational Education of this category of persons. The objective is to study the situation in a separate

segment of vocational education, on the example of vulnerable applicants of vocational education. For this, real situation is used.

A survey was conducted in which participated three blind applicants and three experts of professional education. Based on the information provided by them it was available to identify the problems inhibiting blind inclusion in vocational education.

The article analyzes the current situation, provides relevant conclusions and it is presented the following recommendations for the purpose of solving the identified problems: It is necessary to increase the financing of blind vocational education and organize the pre-processive preparation for the blind.

Keywords: *Inclusion, Blind Persons, Vocational Education*

**კითხვის უნარის დარღვევის გამოვლენა
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურის
6-7 წლის მოსწავლეებში**

მაია შაშვიაშვილი

დოქტორანტი, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი

განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ – ვახტანგ გვირიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №173 სა-
ჯარო სკოლა*

თბილისი, საქართველო

maia_shashviashvili@mail.ru

კითხვა რთული ფსიქო-ფიზიოლოგიური პროცესია. ამ უნარის მექანიზმები ზრდასრული ადამიანებისთვის მას უკვე ფორმირებული ჩვევის სახე აქვს. ამიტომ, გვიჭირს იმის გაცნობიერება, თუ ჩვენს მიერ ავტომატურად წაკითხული სიტყვა თუ ფრაზა, რამდენად რთულ გზას გადის. იმისათვის, რომ მონიშნული ტექსტი წავიკითხოთ, თქვენ ერთდროულად ვახდენთ დაბეჭდილ ასოებზე ყურადღების კონცენტრირებას, შესაბამისი მიმართულებით ვამოძრავებთ თვალს ფურცელზე, ასევე გარდავექმნით ბგერებად, ვახდენთ წაკითხულის გააზრებას, ვაგებთ მისი მეშვეობით წარმოდგენებს და ვადარებთ ახალ ინფორმაციას მანამდე არსებულს. ბოლოს, კი ვიმახსოვრებთ აზრებსა და ასოციაციებს. ამ პროცესში მონაწილეობს მხედველობითი, მეტყველებით-მამოძრავებელი და მეტყველებით -სმენითი ანალიზატორები. ასოების სწრაფი და წარმატებული წაკითხვა შესაძლებელი ხდება შემდეგი ფუნქციების ჩამოყალიბების საფუძველზე: ფონემატური აღქმა – ფონემების დიფერენციაცია და განსხვავება; ფონემატური ანალიზი – მეტყველებიდან ბგერების გამოყოფა; მხედველობითი ანალიზი და სინთეზი – ასოების მსგავსების და განსხვავებების დაფიქსირება;

სივრცითი წარმოდგენები და მხედველობითი მეხსიერება – ასოს ვიზუალური ხატის დამახსოვრება.

შესაბამისად, ცხადია, რომ კითხვის პროცესის შესწავლა სკოლაში მისვლამდე იწყება. თუმცა, სწორედ 6-7 წლის ასაკში მისადმი ინტერესი იზრდება და პროცესიც აქტიური ხდება. წარმატების მისაღწევად კი, მნიშვნელოვანია კითხვის სათანადო სწავლების მეთოდების გამოყენება და პედაგოგისა თუ მშობლის სწორი დამოკიდებულებები.

სკოლაში მრავალწლიანმა პრაქტიკამ დამანახა, რომ მოსწავლეების ის ნაწილი, რომელსაც კითხვა უჭირს, ხშირად არასწორი შეფასები მსხვერპლნი ხდებიან. მათ ზარმაცის იარღიეს აკერებენ. საკითხის ასე შეფასება, არა მარტო მოსწავლეს უშლის ხელს განვითარებაში, არამედ მასწავლებელსაც – პროფესიულ ზრდში. შესაბამისად, გვიანდება მოსწავლის განსაკუთრებული საჭიროებების გამოვლენა. ამ პრობლემის შესახებ საქართველოში სტატისტიკური მონაცემები არ გვაქვს და მის მასშტაბებზე ვერ ვისაუბრებთ, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ სპეცპედაგოგთა ნაციონალური ასოციაციის მონაცემებით, კითხვის უნარის დარღვევა სწავლის უნარის დაქვეითების ყველაზე გავრცელებული ფორმაა და დღემდე სპეციალური საგანმანათლებლო სერვისების მომხმარებელი მოსახლეობის თითქმის ნახევარს სწორედ ეს დარღვევა აღენიშნება, გვაძლევს საფუძელს, რომ საკითხი ნამდვილად აქტუალურია და მრავალმხრივ მიდგომას სჭიროებს. უპირველესად კი, პედაგოგის მხარდაჭერას, მის ინფორმირებულობას აღნიშნული დარღვევის სწორი და დროული იდენტიფიკაციისთვის. არ არსებობს საქართველოში კვლევა, რომელიც პედაგოგს დაეხმარება აღმოაჩინოს კითხვის სირთულეები 6-7 წლის ბავშვთან. ჩვენი კვლევის მიზანი, სწორედ ასეთი შეფასების ინსტრუმენტის შექმნაა, რაც მომავალში განსაზღვრავს მოსწავლის წარმატებას და პედაგოგის ინფორმირებულობას, თუ როგორ შექმნას ისეთი საგაკვეთილო გარემო, რომელშიც თანატოლების მსგავსად ჩართული იქნება კითხვის დარღვევის მქონე სსსმ მოსწავლე.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზიური განათლება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, კითხვის უნარის დარღვევა

Revealing a Breach of Reading Skills in 6-7 Years Old Pupils in Primary Schools

Maia Shashviashvili

PhD Student , Inclusive education coordinator

Department of Educational Sciences, Faculty of psychology and Educational Sciences

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

LEPL- Tbilisi Vakhtang Gzirishvili Public School №173

Tbilisi, Georgia

maia_shashviashvili@mail.ru

Reading is a difficult psycho-physiological process. For adults with this ability it has a form of habit. So it is hard for us to understand how difficult path the word or phrase passes, as we read it automatically. In order to read the selected text, we simultaneously concentrate on the printed letters, move the eye on the paper to the corresponding direction, transform the letters into the sounds, understand the readings and compare new information to previous one.

Finally, we remember thoughts and associations. In this process visual, speech-driving and speech-hearing analyzers participate. Fast and successful readings of letters are conducted with the following functions: Phonematic-perceptions – differentiation and differences of fonts; Phonematic analysis – separating sounds from speech; Visual analysis and synthesis – fixing similarities and differences in letters; Spatial performances and visual memory – remembering a visual Icon of a letter.

Consequently, it is clear that studying the reading process starts before going to school. However, at the age of 6-7 years, interest on it increases and the process becomes active.

Many years of school practice showed me that the part of pupils who have difficulty in reading often becomes victims of wrong estimation. They have a lazy label. This assessment not only hinders a pupil's development, but the teacher's professional growth as well.

In Georgia we do not have statistical data about this problem and we can not talk about its scope, but according to the National Association of Special Education Teachers, breach of reading skills is the most widely spread form of learning difficulties. From this information we can say that the issue is really relevant and it requires a multifaceted approach and first of all teacher's support and their informing for correct and timely identification of the breach.

There is no research in Georgia that will help teachers to find the difficulty of reading in 6-7 years old child. The aim of our research is to create such an assessment instrument that will determine the success of the pupil.

Keywords: *Inclusive Education; The Student with Special Educational Needs; The Breach of Reading Skills*

სტრატეგიები ინტერკულტურულად ორიენტირებული უცხო ენის გაკვეთილისთვის

მზექალა აჭაიძე

თსუ-ს ენების ცენტრის მასწავლებელი

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო*

mzekala.atchaidze@tsu.ge

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებმა საზოგადოებაში უცხო ენის შესწავლისადმი ინტერესი გაზარდა. ბოლო პერიოდში წინა პლანზე წამოინია უცხო ენის სწავლების ინტერკულტურულმა მეთოდმა, როგორც კომუნიკაციაზე ორიენტირებული მეთოდის ლოგიკურმა გაგრძელებამ. ამ მეთოდის უმთავრესი არსია ენის სწავლებისას ორიენტაციის აღება უპირველესად ინტერკულტურული კომპეტენციის ჩამოყალიბებაზე. ინტერკულტურული კომპეტენციის ცნება გულისხმობს უცხო ენის შემსწავლელის უნარს, მოახდინოს საკუთარი და უცხო კულტურის დიფერენციაცია, შეძლოს ამის ამოცნობა კონკრეტულ სიტუაციებში და თანაგრძნობით და მოფრთხილებით მოეკიდოს უცხო კულტურას.

ინტერკულტურული მეთოდით სწავლებისას ხდება არა მხოლოდ უცხო კულტურის შესახებ ცოდნის უბრალოდ მიწოდება, არამედ მისი მსოფლმხედველობრივ-კონცეპტუალური ახსნა და გადაცემა. ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარი, უპირველესად, გულისხმობს უცხოს აღქმისა და შეცნობის უნარის გამომუშავებას სხვადასხვა პერსპექტივაში რაციონალური პარალელების გავლების საფუძველზე საკუთარსა და უცხოს შორის.

უცხო ენის გაკვეთილი ენის შემსწავლელს ენობრივ კომპეტენციასთან ერთად გარკვეული დოზით სოციალურ ასპექტშიც უყალიბებს ინტერკულტურულ უნარებს. ინტერკულტურული სწავლება აქტიურ ქცევაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესია, როდესაც შემოქმედებითი ინტერაქცია მიმდინარეობს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის და გაკვეთილზევე ხდება შექნილი ცოდნის რეალიზაცია.

საკვანძო სიტყვები: უცხო ენის სწავლების დიდაქტიკა და მეთოდოლოგია, ფსიქოლინგვისტიკა, ენის ათვისება

Interculturally-Oriented Strategies for Foreign Language Teaching

Mzekala Achaidze

Teacher of the TSU Language Center

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

mzekala.atchaidze@tsu.ge

Ongoing globalization processes in the world have increased interest in foreign language learning. In recent years ‘an intercultural method of foreign language teaching’ has emerged as a logical continuation of the ‘communicating method’.

The main course of this method is to focus primarily on the formation of intercultural competences in the process of language teaching. The concept of intercultural competences implies the ability of foreign language learners to differentiate their own and the foreign culture aspects, to be aware of them in specific situations and to treat the foreign culture with caution.

The intercultural teaching method implies not only giving information about the foreign culture, but also explaining its conceptual world-views. Intercultural communication skills, first of all, imply the development of the ability of learners to comprehend the sense of the unfamiliar cultures deeply, and to become aware of them on the basis of drawing rational parallels between their own and the foreign cultures in differential perspectives.

In the social aspect foreign language lessons, along with the linguistic competences of the language, promotes intercultural skill development in the learners. Intercultural learning is a learning process based on active behavior when creative interaction between a teacher and a pupil takes place; thus the realization of the acquired knowledge is performed straight during the lesson.

Keywords: *Foreign Language-learning Methodology and Didactic, Psycholinguistics, Language Acquisition*

პროფესიული განათლების დაფინანსების რანჟირების მოდელი

რუსუდან ჩართოლანი

დირექტორი

პროფესიული კოლეჯი იკაროსი

თბილისი, საქართველო

rusiko.72@gmail.com

საგანმანათლებლო სისტემა ერთ-ერთი ძირითადია იმ სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურათა ჩამონათვალში, რომლებიც სახელმწიფოს ფუნქციონირებისა და განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენენ თანამედროვე დემოკრატიულ სამყაროსთან ინტეგრირების პროცესში.

საგანმანათლებლო სისტემის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეფორმის ხელშეწყობა ისეთი მეთოდებით, რომლებიც მიმართულია არა დამატებით ინვესტირებაზე, არამედ არსებული რესურსების ოპტიმალურ გადანაწილებაზე, რაც მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური ეფექტის მიღების საშუალებას მოგვცემს.

ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა, ერთი მხრივ, პროფესიული სასწავლებლების საჭიროებათა კვლევა, მეორე მხრივ კი, არსებული სასწავლებლების რანჟირება და ეროვნული სარეიტინგო სისტემის შექმნა.

კვლევის საწყის ეტაპზე რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდით მოხდა იმ ძირითადი ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც არსებითად განსაზღვრავს სტუდენტთა დამოკიდებულებას პროფესიული სასწავლებლის მიმართ. ეს, თავის მხრივ, პროფესიული სასწავლებლის შეფასების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს.

კვლევა შეეხო საქართველოში არსებულ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ /თანადაფუძნებულ 18 პროფესიული სასწავლებლის

სტუდენტებს .სტუდენტები ანკეტირებისას 10 ქულიან სკალაზე აფასებდნენ თავიანთ სასწავლებლებს 52 პარამეტრის მიხედვით $\{f_i : i = \overline{1,52}\}$.

მიზნის ფუნქციად განხილულ იქნა სტუდენტთა კმაყოფილება სასწავლებლის მიმართ. მრავალფაქტორულმა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ინფორმაცია რომელიც 52 პარამეტრში იყო განთავსებული გადანაწილდა 8 ურთიერთდამოუკიდებელ ფაქტორში.

$$FAC_i = \left(f_{i_1}, f_{i_2}, \dots, f_{i_{n_i}} \right), \quad i = \overline{1,8}, \quad n_1 + n_2 + \dots + n_8 = 52.$$

$$j_t \neq i_s, \quad t = \overline{1, n_j}, \quad s = \overline{1, n_i}, \quad j_t \in [1, 52], \quad i_s \in [1, 52],$$

თითოეული ფაქტორი ყოველი m -ური რესპონდენტისათვის გამოკითხვის შედეგების მიხედვით იღებდა გარკვეულ ქულას, რომელიც გამოითვლება ფორმულით

$$FAC_{im} = \sum_{k=1}^{n_i} a_{i_k} f_{i_k m}, \quad i = \overline{1,8}, \quad m = \overline{1,1036},$$

სადაც a_{i_k} არის i -ური ფაქტორის f_{i_k} პარამეტრის შესაბამისი წონა, ხოლო $\hat{f}_{i_k m}$ კი f_{i_k} პარამეტრისათვის m -ური რესპონდენტის მიერ მინიჭებული ქულა. (იხ. [6]).

დროის მიმართ ფაქტორთა დინამიკის გასათვალისწინებლად ჩატარდა მეორე კვლევა . სასწავლებლებიდან შეირჩა 503 რესპონდენტი, რომელთაც ჩაუტარდათ გამოკითხვა იგივე 52 პარამეტრის მიხედვით. პარამეტრები სხვა დაჯგუფებით: გადანაწილდა შემდეგ 6 ახალ ფაქტორში

$$FAC'_j = (f'_{j_1}, f'_{j_2}, \dots, f'_{j_{n_j}}), \quad j = \overline{1,6}$$

რეგრესიული ანალიზის გამოყენებით დადგინდა თითოეული ფაქტორის წონა α_j

($j = \overline{1,6}$) და ფაქტორში შემავალი პარამეტრების β_{j_s} ($j = \overline{1,6}, s = \overline{1, n_j}$) წონები ფაქტორების განსაზღვრაში. საბოლოოდ

სასწავლებლის მიმართ კმაყოფილების განსაზღვრაში თითოეული პარამეტრის წონა გამოითვალა შესაბამისი ფაქტორის წონისა და მის განსაზღვრაში მოცემული პარამეტრის წონის ნამრავლით

$$W_{j_s} = (\text{Weight})_{j_s} = \alpha_j \cdot \beta_{j_s}, \quad j = \overline{1,6}, \quad s = \overline{1,n_j}.$$

პირველი კვლევის თითოეულ f_i პარამეტრს მიენიჭა მეორე კვლევაში გამოთვლილი შესაბამისი პარამეტრის W_i წონა. ყოველი რესპონდენტისათვის მისი გამოკითხვის შედეგების მიხედვით გამოითვალა შესაბამისი სასწავლებლის მიმართ K_m კმაყოფილების ქულა შემდეგი ფორმულით:

$$K_m = \frac{\sum_{i=1}^{52} W_i f_{im} - \sum_{i=1}^{52} W_i}{\sum_{i=1}^{52} W_i \cdot 10 - \sum_{i=1}^{52} W_i}, \quad m = \overline{1,1036}.$$

თითოეული სასწავლებლისათვის გამოითვალა პირველ კვლევაში მისი გამოკითხული რესპონდენტების კმაყოფილების K_m ქულა, K_m ქულების არითმეტიკული საშუალო \bar{K}_i ($i = \overline{1,8}$) მნიშვნელობა i -ური სასწავლებლის მიმართ.

რანჟირების დროს ბუნებრივია გათვალისწინებული უნდა იქნას სასწავლებლის მოთხოვნადობა შრომის ბაზრის მხრიდან. შესაბამისად თითოეული სასწავლებლისათვის ბოლო 5 მიღების N_{ik} ($k = \overline{1,5}, i = \overline{1,18}$) მონაცემებიდან:

გამოითვალა მიღების ნორმირებული მაჩვენებელი.

$$\bar{N}_i = \frac{\sum_{k=1}^5 N_{ik}}{18 \cdot 5}, \quad i = \overline{1,18}.$$

$$\sum_{j=1}^5 \sum_{k=1}^5 N_{jk}$$

ყოველი სასწავლებლის რანჟირების კოეფიციენტის სიდიდე განისაზღვრა, როგორც ამ სასწავლებლის შესაბამისი საშუალო

კმაყოფილების \bar{K}_i ქულის და მისი მოთხოვნადობის ნორმირებული \bar{N}_i მაჩვენებლის გეომეტრიული საშუალო.

$$Rang_i = \sqrt{\bar{K}_i \cdot \bar{N}_i}, \quad i = \overline{1,18}.$$

მიღებული კოეფიციენტების მიხედვით დადგინდა სასწავლებლების საბოლოო სარეიტინგო სია.

რანჟირების მიღებული მოდელი შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული სხვა სტრუქტურებში შემავალი დანესებულებების სარეიტინგო სიის დასადგენად.

საკვანძო სიტყვები: პროფესიული განათლება, რანჟირება, სარეიტინგო ქულა, მოთხოვნადობის მაჩვენებელი

The ranking model of vocational Education fanding

Rusudan Chartolani

Director

NNLP “Icarosi”

Tbilisi, Georgia

rusiko.72@gmail.com

The vocational training system is one of the basic systems in the list of those social and political structures which are the factors determining the functioning and development of the state in the process of its integration into the modern democratic world.

In the initial stage of investigation, using the method of quantitative sociological investigation, we identified those basic factors which essentially determine the attitude of students to vocational colleges. This, in turn, was one of the most important components of the estimation of vocational colleges.

The investigation instruments were prepared and the well-tested measurement methods were used on the basis of consultations with experts in the sphere of education and professional experts. Field work was carried out observing the standards of investigation ethics.

The investigation involved students of 18 vocational colleges financed/co-financed by the government. When responding to questions, students estimated their college according to 52 parameters $\{f_i : i = \overline{1,52}\}$ by the 10-score scale.

The target function was used to determine the satisfaction of students with their college. The many-factor statistical analysis showed that the information on 52 parameters was distributed in eight independent factors as follows

$$FAC_i = \left(f_{i_1}, f_{i_2}, \dots, f_{i_{n_i}} \right), \quad i = \overline{1,8}, \quad n_1 + n_2 + \dots + n_8 = 52.$$

$$j_t \neq i_s, \quad t = \overline{1, n_j}, \quad s = \overline{1, n_i}, \quad j_t \in [1, 52], \quad i_s \in [1, 52],$$

By the results of the interview, each factor for each respondent m received a certain score calculated by the formula

$$FAC_{im} = \sum_{k=1}^{n_i} a_{i_k} f_{i_k m}, \quad i = \overline{1,8}, \quad m = \overline{1,1036},$$

where a_{i_k} is the weight of the parameter f_{i_k} of the i -th factor, and $\hat{f}_{i_k m}$ is the score given by a respondent m for the parameter f_{i_k} .

In order to determine the dynamics of the factors with respect to time, the second investigation was carried out. 503 respondents selected among college students were questioned using the same 52 parameters. Parameters in other classification groups were distributed in six new factors by the formula

$$FAC'_j = (f'_{j_1}, f'_{j_2}, \dots, f'_{j_{n_j}}), \quad j = \overline{1,6}$$

Applying regression analysis, the weight of each factor α_j ($j = \overline{1,6}$) was established and the weights β_{j_s} ($j = \overline{1,6}, s = \overline{1, n_j}$) of the parameters contained in the definition of the factor j . Finally, when defining the satisfaction

parameter with respect to a college, the weight of each parameter was calculated by multiplying the factor weight by the weight of the parameter given in its definition

$$W_{j_s} = (\text{Weight})_{j_s} = \alpha_j \cdot \beta_{j_s}, \quad j = \overline{1,6}, \quad s = \overline{1, n_j}.$$

To each of the parameters f_i of the first investigation we attributed the weight W_i of the respective parameter calculated in the second investigation. For each respondent m , his satisfaction score K_m was calculated by the results of his interview using the following formula

$$K_m = \frac{\sum_{i=1}^{52} W_i f_{im} - \sum_{i=1}^{52} W_i}{\sum_{i=1}^{52} W_i \cdot 10 - \sum_{i=1}^{52} W_i}, \quad m = \overline{1, 1036}.$$

For each college, we calculated the value \overline{K}_i using the satisfaction scores K_m of the respondents interviewed in the first investigation, the mean arithmetic value K_m of scores \overline{K}_i ($i = \overline{1,8}$) with respect to the i -th college.

In carrying out the classification of the vocational colleges, we naturally took into consideration such a factor as the demand for college graduates at the labor scoreet. Accordingly, based on the data of five last student admissions N_{ik} ($k = \overline{1,5}$, $i = \overline{1,18}$), for each college we calculated the normed index in per cent

$$\overline{N}_i = \frac{\sum_{k=1}^5 N_{ik}}{18 \cdot \frac{1}{5} \sum_{j=1}^5 \sum_{k=1}^5 N_{jk}} \cdot 100\%, \quad i = \overline{1,18}.$$

The value of the rank coefficient of each college was determined as the mean geometric value \bar{K}_i of the mean satisfaction value and the normed index \bar{N}_i of the demand for its graduated at the labor market

$$Rang_i = \sqrt{\bar{K}_i \cdot \bar{N}_i}, \quad i = \overline{1,18}.$$

The rating list of the vocational colleges involved in the investigation was prepared.

The proposed ranking model can successfully be used for preparing a rating list of organizations belonging to other structures.

Keywords: *Vocational Education , Ranking, Rank Score, Demand Index*

ლიტერატურის სწავლების მეთოდური პრობლემები ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ მაგალითზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში

მარინე ნიკლაური

დოქტორანტი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო*

tsiklaurimari@gmail.com

კვლევის მიზანია ლიტერატურის სწავლების მეთოდური პრობლემების გამოკვეთა ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ მაგალითზე დაყრდნობით. პოემა შერჩეულია მისი მრავალფეროვანი და ურთიერთსანინააღმდეგო ინტერპრეტაციებისა და მხატვრული დეური სირთულის გამო, რაც გარკვეულ სირთულეს უქმნის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს სწავლების პროცესში. მოსწავლეებისათვის განსაკუთრებით რთულად ასახსნელია პოემის მე-2 თავი (შატილისაკენ მიმავალი ალუდას ფიქრები), რომელიც ვაჟა-ფშაველას ცნობიერების ნაკადის ჟანრში აქვს მოცემული და როგორც კვლევამ გვიჩვენა, თვით მასწავლებლებსაც უჭირთ ამ ეპიზოდის სიმბოლური პლანის გააზრება.

კვლევის აქტუალობას განაპირობებს არა მხოლოდ პოემის მაღალი ესთეტიკური მნიშვნელობა, არამედ მისი სოციალური დანიშნულებაც, რადგან „ალუდა ქეთელაური“ შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის (მე-11 კლასი, 15-16 წლის) მოსწავლეს საუკეთესოდ გააცნობიერებინებს, როგორ ყალიბდება ადამიანი პიროვნებად, როგორ აღწევს ის თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს. ამ მხრივ ვაჟას პოემა უნიკალურია არა მხოლოდ ეროვნული, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც.

ნაშრომი შედგება სამი ნაწილისაგან: პირველ ნაწილში მოცემულია პოემის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციები შესაბამისი ლიტერატურული მასალის მიმოხილვის საფუძველზე; მეორე ნა-

ნილში წარმოდგენილია სასკოლო სახელმძღვანელოების (გამომცემლობა „მერიდიანისა“ და გამომცემლობა „სწავლენის“ მე-11 კლასის სახელმძღვანელოების“) შეფასება-ანალიზი პოემის სწავლებასთან დაკავშირებით; მესამე ნაწილში მოცემულია მასწავლებელთა ანკეტირებისა და განათლების ექსპერტებთან ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგად მიღებული პასუხები და რეკომენდაციები. რესპონდენტთა ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე ეს მოსაზრებები წარმოდგენილია წყაროს მითითებით, ვინაიდან რესპონდენტებმა არ მოითხოვეს ანონიმურობისა და კონფიდენციალობის დაცვა.

მასწავლებელთა ანკეტირება წარიმართა რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით, გამოიკითხა ქართული ენისა და ლიტერატურის 42 მასწავლებელი თბილისისა და დუშეთის რაიონის სკოლებიდან. კვლევის ბოლო ეტაპზე, თვისებრივი კვლევის გამოყენებით განხორციელდა განათლების ექსპერტთა ინტერვიუება. რესპონდენტთაგან ყოველი ფლობს პედაგოგიურ გამოცდილებას ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს სკოლებში, ამასთანავე, ისინი ჩართულნი არიან მასწავლებელთა გადამზადების პროგრამებსა და სასკოლო პროგრამების შემუშავებაში, არიან სასკოლო და მეთოდური სახელმძღვანელოების ავტორები.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში გამოკვეთილია ლიტერატურის სწავლების მეთოდური ხარვეზები თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. ამ პრობლემების ანალიზს მივყავართ სასკოლო ლიტერატურის გადატვირთულობისა და განათლების მენეჯმენტის პრობლემებთან, ვინაიდან, როგორც ერთი-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: „მეთოდოლოგიის არცოდნასთან თუ გაუმართაობასთან არის დაკავშირებული ლიტერატურის პროგრამის გადატვირთულობა. მასწავლებელი, ფაქტობრივად, მეთოდოლოგიის გარეშე ამუშავებს ამ გადატვირთულ მასალას და ვერ ახორციელებს, ვეღარ ასწრებს მის სათანადოდ, ნაყოფიერად რეალიზებას“ (პროფესორი მედეა ღლონტი).

საბოლოო დასკვნებში ასახულია ის რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ვაჟა-ფშავე-

ლას აღნიშნული პოემის, არამედ, ზოგადად, ლიტერატურის სწავლების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, ლიტერატურა, მეთოდика, ვაჟა-ფშაველა

Methodological Problems of Teaching Literature in Secondary School (Based on “Aluda Ketelaury” by Vazha-Pshavela)

Marine Tsiklauri

PhD Student, Department of Educational Sciences, Faculty of psychology and Educational Sciences

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

tsiklaurimari@gmail.com

The main goal of the research is to identify methodological problems of teaching literature in the Georgian secondary schools. The poem “Aluda Ketelaury” by Vazha-Pshavela was chosen because of its varied and inconsistent interpretations, which cause problems for a teacher in the process of teaching. The most difficult part to discuss is the second chapter (the thoughts of Aluda heading to Shatili), which is given in the genre of the stream of consciousness and, as the research has shown, it's difficult even for the teachers to perceive the symbolic plan of the episode.

The topicality of the research is conditioned not only by a high aesthetic importance of the poem but also for its social function, as "Aluda Ketelaury" helps a student of the relevant age (the 11th grade) to realize how a human is formed as a right man, how he reaches the highest level of his personal development. Vazha's poem is unique not only to the national but also to the international extents.

The work consists of 3 parts: the first part gives different interpretations based on the overview of the relevant literary material; the second part is the evaluation and the analyses of school textbooks related to teaching the poem; the third part represents answers and recommendations

as a result of questionnaires filled in by teachers and comprehensive interviews with the experts of educational field.

The questionnaires were filled in by 42 teachers of the secondary schools of Tbilisi and Dusheti. Experts were interviewed using the quantitative methods. Each of them has the educational experience of working either in secondary or in high schools, they are authors of school and methodical textbooks.

The conclusion shows the methodological gaps of teaching literature in modern secondary school. The analysis of the said problems leads us to the overloaded literary programs and the problems in educational management. As one of the respondents says – "the overloaded literary program is a result of the lack of methodological knowledge. A teacher has to work on the literature without a methodology and thus has no time for its effective realization"(prof. Medea Ghlonti).

Keywords: *The Comprehensive School, Literature, Methodology, Vazha-Pshavela*

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel: 995(32) 225 14 32
www.press.tsu.edu.ge